

რაჭველი

№ 10 (72) 1.10.2015 - 1.11.2015 ფასი: 2 ლარი

ყოველთვიური გამოცემა



ზურაბ მანუჩანიძე
ნაკიეთიდან კინოსტუდიაში
 № 2



კაში ბაიბაძე
კატაში წესიერი კუსული
ვინ ააყვავებულს
 № 6

ირა ღაუშვილი



როგორ იქმნებოდა „დიო“




მეყფე ვახტანგმა ჭერიძის მონასტერში საზეიმო ნიხვა აღაფრინა
 № 18



სალხის სათაყვანებელი მკურნალი
აფრასიონ ჰეტირაშვილი
 № 16

ღალი დანასყუდიბე



კატაში ვიოლანტული მარკალიძეები
 № 32




როგორი კატაქლია ნონა კახვიანი
 № 12

რუსულან რუსუიანი



ბედნიერი ვარ, რომ მამას სხელს დავინყვება არ უნებია
 № 9

ზნაკვა თან სოფელია... თან მზეა...

ზნაკვა - სოფელი ამგროლაურის მუნიციპალიტეტში, მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ზნაკვურის (რიონის შენაკადი) მარჯვენა ნაპირზე. თემის ცენტრი (სოფლები: მოტყიარი, საკაციია). ზღვის დონიდან 850 მეტრი, ამგროლაურიდან 10 კილომეტრი. 2002 წლის აღწერის მონაცემებით სოფელი ცხოვრობს 212 ადამიანი.

თან სოფელია... თან მზეა...

გულისგან განუყოფელი,
ხელს მიქნევს ქედისუბანი,
ვისთვის, უბრალოდ სოფელი,
ჩემთვის კი... ჩემთვის - უფალი...

ფეხებზე მისი სიბელი აქ,
თუმცა აქ მისი ადგილიც...
ხუფ ზატარაია ნიბელი,
ხუფში ჩამომყრა ამ დილით...

ჰ, უანუკაც რო გაფთოსნე,
გულზე მომეშვა, გაფლადდი,
ბაღასი მართლაც მაცოცხლებს,
მარა, ვერ ვგუობ უანაში...

ბინდიც რო, თითქოს ბინდია,
ხუფ ხევა, მთებში განდდილი...
ხელიც სიკეთის სიღია,
ხსენსთვის თუკია გაწვდილი...

ხუფშია თუ ინვე წამძლია,
გზას გაფუფუები ზნაკვისკენ,
თან სოფელია, თან მზეა,
მოდო და ნუ გაგაკვირვებს...

საკვირვებია წებროც, ხეც,
თუმცა კი ბევრჯერ ნანახი...
ჰ, უანუკაც რო გაფთოსნე,
გულზე მომეშვა, გაფლადდი...

გულისგან განუყოფელი,
ხელს მიქნევს ქედისუბანი,
ვისთვის, უბრალოდ სოფელი,
ჩემთვის კი... ჩემთვის - უფალი...

ბადრი ხუფაძე



ზნაკვის საშინდლის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია



სარჩევი




„ხილს აუცილებლად მეზობლისას
ვიპარავდი ხოლმე“ ზურაბ
ქაფიანიძე..... 2



როგორ ჩავიდა სოფელში
მოპარული „ვილისით“ გია
აბესალაშვილი 6



მთის რაჭის ისტორიიდან —
რუსუდან (მანო)



რეხვიაშვილი 9



შორით ტრფობის თეორემა 12
გასაუბრება დიდ აჩრდილებთან
— **ვანო ცინცაძე** 13



რაჭა-ლეჩხუმური მეგობრობა
ემიგრაციაში და ტრაგიკული
დასასრული —
მანანა გაბრიჭიძე 14



შეხვედრა წარსულთან. ხალხის
სათაყვანებელი მკურნალი —
აფრასიონ პეტრიაშვილი..... 16



გზა, რომელიც წმ. ქეთევანის
ნაწილებმა გაიარა — 18



ბადრი სულაძის რაჭის გემო 19



მე ის არა ვარ, სამშობლოს
რომ სასწორზე დადებს — **მარინა
ყიფიანი - მაისურაძე**



ქართული საქმე უცხოეთის
მინაზე..... 21
რაჭველი ემიგრანტი
კანადაში..... 24



გივი სიხარულიძე — ქართველი
სტუმარი ამურის კინოსა და
თეატრის ფესტივალზე..... 28



„შენთან შეხვედრის საათებს
ვითვლი“ სოსო კერესელიძის
ხსოვნა — **თინა და მილდა
კერესელიძეები**..... 30



რაჭის მარგალიტები -
ფოლკლორი..... 32



როგორ აღმოაჩინეს თურქეთელმა
ქართველებმა საქართველო —
გიორგი კალანდია 34



დავით კიკოლაშვილი —
დაბრუნებული საუნჯე 36



ამბროლაური სრულიად
საქართველოს ამცნობს..... 38



„იბერია 1“ ტურისტებს
კეთილ-მასპინძლობით
ამახსოვრებს თავს 40

მთავარი რედაქტორი —
ნიკო რახვიაშვილი

ტელ: 599 74 68 10

დამფუძნებელი —
გონა გუტაშვილი

ტელ: 599 53 58 94

კომპიუტერული უზრუნველყოფა
დალი ჯვარაშიაშვილი

ტექსტი ააწყო

თამარ გოგინაძე

მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №27,
მე-2 სართული, ოთახი №3, ტელ.: 790 74 68 10
ელ-ფოსტა: nino153@mail.ru

ძვირფასო მკითხველო!

გაცნობებთ, რომ რედაქციაში შემოსული
მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს
ავტორი. რაც შეეხება სარეკლამო ტექსტს,
მთელი პასუხისმგებლობა რეკლამის
შემკვეთს ეკისრება.

**ჟინანდი მასალების
მართავსა და ფასინა!**



ზურაბ ქაფიანიძე

„ხილს აუცილებლად მეზობლისას
ვიპარავდი ხოლმე“

ზურიკუნა თუ ზურა?

მეშვირე სართყლი. სის ყბრადო ქარი, იქვე წარწერა – ზურა ქათანიძე (კერძზე მიყნურია ვიღაცას კადმით).

ქარს გიღებენ და შვიდხარ, თყურჯლებით და წიგნებით სავსეა ზურაბ ქათანიძის ოთახი.

კერძზე შემეწყლი და ქართყლი ანბანი.


თოცობი და ნახაყები.

აივნებიან ალბათ ქარგარ სჩანს კინოსცყრითს უზო, მაგრამ ამ ოთახს მეორე, ვიწყყარყური აივანიყ აქვს – ოთახის ქარს ქართყლი აივნის წიყყლები აქვს გაყეთებყლი სამშყუნისად. თითქოს ამ „აივნებიანყ“ შეგიძლია გადიხედი და აჯყჯილებყლი უზო დიხახო, კიდეყ მარწის ქარი, თაყმობიდი ქეყური, თონესთან მოთყსთყსე ქართყელი ქალი, მყხლებე წიგნგადამწიდი მოვიწყრანგეთანი...

ჩემი გარიყრაყი

მე რომ მახსოვრობა გამიჩნდა, უკვე შეყყვარებული ვიყავი. ჩემი სოფელი თანატოლი, ულამაზესი გოგონა მერიკო ჩალაძე მიყვარდა. ეს სიყვარული ჭაბუკობამდე შემომყვა... რვა კლასი რომ დავამთავრე, მივხვდი, არ შეიძლებოდა ამის გამყღავენება. ჯერ ერთი, სოფელში არ იმალებოდა ვინ ვის უყვარდა, თუმცა სოფელი მაინც ამჩნევდა ხოლმე. მეორე, ადათი და წესი არ მაძლევდა იმის უფლებას, ბეზიჩემის გვარის გოგო მიყვარებოდა. საოცრად ლამაზი გოგო იყო. მთელი დღე ვთამაშობდი მასთან, რომ შემთხვევით მაინც შევხებოდი. ეგ იყო ჩემი პირველი შემოსვლა წუთისოფელში. სიყვარულით დავინყე...

სოფელში, სახლის წინ პატარა მდინარე ოყანური ჩამოგვდის, საოცარი წყალია, სამკურნალო, უამრავი მყავე წყალი უერთდება, ბოლოს ჩადის რიონში. იქ გუბებებს ვაკეთებდით ხოლმე და ვბანაობდით შიგ, ჩვენი სოფლის გოგონებიც ბანაობდნენ და ეს ზღაპრული სილამაზე იყო.



შუმერული ანბანი

იქვე ჩამოდიოდა რიონი... მანამ პატარები ვიყავით, ამ ღვთიურ მდინარეში აკრძალული გვექონდა ჩასვლა. ჩემს სოფელთან ისეთი მოდის რიონი, მისი ხმა სამ კილომეტრზე ისმის. იქ ნაპირზე კაცს ფეხი რომ დაუცდეს და ჩავარდეს, თუ ცურვა არ იცის, ვერ გამოვა ცოცხალი. მთელი სოფელი გაფრთხილებული იყო, რომ ბავშვები არ შეეშვათ შიგ. რომ დავაჟაკცდებოდი, თუ გახვიდოდი რიონზე, ესეიგი კაცობასთან ახლოს იყავი...



რიონში მეც მიკრძალავდნენ მშობლები ბანაობას, სანამ ცურვა კარგად არ ვისწავლე... გავიდა დრო, შევეძელი და გადავცურე რიონი... უფროსებმაც დამრთეს ნება, თამამად მევლო რიონზე საცურაოდ.

ერთადერთი, რამაც არ ვემორჩილებოდი მშობლებს და მათი ნებართვის გარეშე ვაკეთებდი — ხილს ვიპარავდი... რომ შემოვიდოდა ბალი, აუცილებლად მეზობლისას მოვიპარავდი. შინაც გვექონდა, მაგრამ იმას სხვა გემო ჰქონდა... მაშინ სხვა იყო, შვილო, სოფელი გზრდიდა, უსაქციელობისთვის სოფელი მოგკითხავდა პასუხს. ყველაზე დიდი სასწავლებელი კაცობის, ნიმუშის, წესის, რიგის სოფელია, შვილო. ამაზე უმაღლესი არაფერი არსებობს დედამიწაზე. საშუალო სკოლა ჩემი სოფლიდან 4 კილომეტრში იყო. რომ გადავედი იქ, ზღაპრული სილამაზე დამხვდა, ისეთი ლამაზი ბავშვები, უწერაში რომ იყვნენ, პლანეტაზე არ არიან.

ლამაზი გოგოების გამო ჩხუბი თუ მოგსვლიათ?

შეყვარებაში არ იყო ჩხუბი... გოგო წყვეტდა ყველაფერს, გოგოს თუ არ უყვარდი, მიდი და იჩხუბე, რამდენიც გინდა... გოგოს თუ უყვარდი, შენც გიყვარდა და თუ იმას ვინმე რამეს ეჭირიჭინებოდა, მერე შეგეძლო, ძალაც გამოგეცადა!

4 კილომეტრზე დავდიოდი სკოლაში, ხან სირბილითაც გავდიოდი ამ მანძილს, ხან უკვლევ თოვლში მივდიოდი...

რვა კლასი ძალიან ცუდად ვსწავლობდი, რომ იტყვიან, ძლივს... მიწერდნენ რა, ნიშნებს, ხომ უნდა დამემთავრებინა სკოლა... უწერაში საოცრად ძლიერი მასწავლებლები დამხვდნენ. რომ შეგვატყვეს, არაფერი ვიცოდით, თავიდან დაგვიწყეს მთელი პროგრამის სწავლება. მათემატიკაში სიმონ მეტრეველი მყავდა, იმდენი მამეცადინა, რომ ვერავინ მჯობნიდა.

იმისი დამსახურებაა, რომ დღემდე ვიცი მათემატიკა... ეს ცოდნა გამომადგა ანბანზე მუშაობაშიც.

უმაღლესი აქვთ დამთავრებული და ციფრს რომ შინაარსი აქვს, არავინ იცის. გითხრა ერთი შინაარსი?

მზე არის დედალვთაება, მეოთხე ადგილზეა დედამიწიდან, ანბანში ოთხი უწერია... ოთხი არის პირველი რიცხვი, რომელიც თავის თავში მრავლდება (2X2=4). თავის თავში ვინ მრავლდება? — დედა... ასეთი შინაარსი აქვს ყველა რიცხვს. ამას ანბანი ხსნის... ამაზე ფიქრი რომ დავიწყე, სიმონ მასწავლებლის და ქართულის — ანიკო მასწავლებლის დამსახურება იყო. ანიკო მასწავლებელი ქართულ ენას კი არა, საქართველოს შინაარსს მასწავლიდა.

ქართველს ხომ გიყვარს რალაცნაირად შენი სამშობლო... ჯერ არ იცი რამხელაა, მაგრამ გიყვარს...

სამშობლოსავით მიყვარდა ის მასწავლებელი. საშუალო სკოლაში ყველაზე ცელქი ბიჭუნა ვიყავი, გაკვეთილზე ავაგროვებდი ფულს მასწავლებლის თანდასწრებით და ჩამოვიტანდი ცხელ პურს, რომ მომშივებოდა... ახალგაზრდა მასწავლებლებს ვუბედავდი ხოლმე... ანიკო მასწავლებელთან რას გავბედავდი! ერთხელ თქვა: ასო-ნიშნებში შინაარსი და ხმამაღლა გავიცინე. ასო ასოა, რა შინაარსი უნდა იყოს-მეთქი. ამ დროს ზარი დაირეკა. ბავშვები გარეთ გაცვივდნენ, მე დავრჩი. მერე გაკვეთილი დაიწყო, შემოვიდნენ. მასწავლებელმა — დასხედითო... დასხდნენ. მე ისევ ვდგავარ. შენ რატომ არ ჯდებიო... მე ველოდი, რას მეტყოდა. თავიდან გამამეორებინა თავისი სიტყვები და მაშინ რომ ამეკვიცა ინტერესი ასო-ნიშნებისა, მას მერე აღარ გამწვანებია. 1961 წელს ფილოლოგიის ფაკულტეტზეც კი შევედი მაგის ინტერესით...

მსოფლიოს ასოთმცოდნეობას — პალეოგრაფიას მანამდეც ვსწავლობდი. ეს იმდენად ახალი და წარმოუდგენელი იყო, რასაც მივაგენი... ასეთი აღმოჩენის მერე პროფესიონალი რომ იყო, მაშინ გითხრებენ დედას, მე კი არ ვარ პროფესიონალი და რას მიზამდნენ, ხომ წარმოგიდგენიათ... ამაზე მერე გეტყვი... ქუთაისში სამი წელი ვისწავლე ფილოლოგიურზე. გრამატიკის მეტს არაფერს მასწავლიდნენ და შევეშვი...

ჩემმა სიცილმა ბედი გადამინყვიტა

სოფელში დრამწრე გვექონდა, მაგრამ მაინც ვერ ვიოცნებებდი თეატრზე ან კინოსტუდიაზე...

„კაკო ყაჩაღს“ ვდგამდით, ლექსებს ვკითხულობდით. მსახიობობა როგორ არ მომწონდა, მაგრამ თეატრალურში გამოცდებს ვერ ჩავაბარებდი. რიტმიკა როგორ უნდა ჩამეზარებინა, ეს სიტყვაც კი არ ვიცოდი, თუ არსებობდა, არც შინაარსი მესმოდა...

თბილისში ჩამოვედი. „გეპეიში“ შევიტანე საბუთები. მოვდიოდი ქუჩაში მეგობრებთან ერთად და ხმამაღლა ვიცინოდი. ჩემი სიცილი გაუგონია აკაკი ხორავას და დამიბარა. შევწუხდი, რაღა ამ უზრდელობაზე დამიჭრა-მეთქი... მივედი, ხელები ჩამოვუშვი დამნაშავედ, თავი დავხარე... სად აბარებო, — მკითხა. „გეპეიში“ — მეთქი. გამოიტანე საბუთები და აქ მოიტანე თორემ სულ დავხუროვ იმ ფაკულტეტს, სადაც შენ აბარებო.

— ბატონო აკაკი, — შევბედე, — გამოცდებს ვერ ჩავაბარებ — მეთქი...

შენ საბუთები გადმოიტანეო. მოვედი. გამოცდების ჩაბარებამდე უკვე თავის ჯგუფში ჩავურიცხავარ. რომ დავამთავრე, ქუთაისში გამამწესა. შენ მხოლოდ აკაკი ვასაძე თუ გაგხსნის, როგორც მსახიობსო. მართალი იყო.

აკაკი ვასაძე ჩემი მამობილი იყო. რომ დაპატიჟებდნენ სადმე, უთუოდ წამიყვანდა. იმას თამამად დანიშნავდნენ, მე — პატარა ბიჭუნა მოადგილე ვიყავი. თავზე მიდებულ მქონდა თავი და ასე ჩახუტებული ვაცილებდი სახლამდე, სასწაულად მიყვარდა.

მე დასოფიკო ჭიაურელმა პირველი ადგილი ავიღეთ მაშინ საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებს შორის ჩვენი ნათამაშები როლებით.

საოცარი ამბავი მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ქუთაისში რომ ვხურავდით სეზონს და სცენაზე შემოვედი, ქუთაისელებმა ტაში დამიკრეს. სცენაზე შემოსვლისას მარტო დიდ მსახიობებს უკრავდნენ ტაშს... შევცბი...

ამ დროს კინოც გაჩნდა ჩემს ცხოვრებაში. ბატონმა მერაბ კოკოჩაშვილმა 12 ბიჭი გასინჯა და მე დამამტკიცა როლზე „მიხაში“.

რაჭველი ბიჭუნას სტუმრობა რაჭაში

„მიხა“ რომ გადავიღეთ, ყველას ძალიან მოეწონა რაჭველი ბიჭუნა და მოინდომეს ჩემების გაცნობა. 25 წლისა ვიყავი. მამა მეურნეობის თავმჯდომარე იყო. შევეუთვალე: დოდო აბაშიძე, კოტე დაუშვილი და შოთა მანაგაძე უნდა მოვიყვანო სტუმრად-მეთქი. რავარია, ამხელა ხალხი რომ წაგყვება სოფელში სტუმრად ბიჭუნას. დამხვდა მამა მაგარი პურმარილით. მე რომ აქ მიცნობდნენ — რა კარგი ბიჭი ხარო, დედაჩემი და მამაჩემი რომ გაიცნეს — ეს რა კარგი ხალხი ყოფილა,

შენ ვისა ჰგავხარ, ამათნაირი ვერ ხარო! მერე ბებია ბაბუამ გადაგვიპატიჟა, ისინი რომ გაიცნეს, ჩემი მშობლებიც კი აღარ მოეჩვენათ ისეთი კარგები... ისე შეუყვარდათ ჩემი სოფელი, როგორც კი რამე მაგრად გაუხარდებოდათ, ან ეწყინებოდათ, წავიდოდნენ იქ და მოიხებდნენ გულს. უჩემოდაც მიდიოდნენ. უხაროდა დედას, მამას, სოფელს, ქვეყანას...

ამ ფილმის მერე გადაწყვიტეს, კინოსტუდიაში დავეტოვებინე...

მაშინ თბილისში ჩანერა არ შეიძლებოდა. დოდო აბაშიძემ თქვა, — მე ჩავწერ ჩემთან ბინაშიო. კოტე დაუშვილმა — უპატრონო არავის ეგონოო და „მალარიჩი“ იკისრა თავის მარანში, დოდოც დაპატიჟა და მილიციის უფროსიც. კინოსტუდიის დირექტორმა — სამსახურში მე მივიღებო... პირველად ჩემი სურათი რომ დავინახე ამ ვარსკვლავების გვერდით სამსახიობო განყოფილებაში, გარეთ გამოვედი, სირცხვილია-მეთქი...

შენ გენაცვალე, იპო! დავინახე, მთელი საათი ვუყურებდი. მერე ერთად მოგვინია „ცისკრის ზარებში“ გადაღება. ერთხელ მაგრად ვიხულიგნე ყაზბეგში — ეზოში ვიქეიფეთ, აგვეყვინე ყაზბეგელი ბიჭები და არ დავაძინეთ მთელი სასტუმრო. არავისთვის ბოდიში არ მომიხდია, მხოლოდ სპარტაკს მოვუხადე ბოდიში. მითხრა:

ბატონო ზურაბ! 16 ბოთლი ღვინო მაქვს თბილისიდან ამოტანილი და ერთად დავლიოთ!

სპარტაკ ბალაშვილის სიმალლე დღემდე ჩემი ოცნებაა. არსენას სურათები დღესაც გაკრული მაქვს კედელზე. ეგეთი ვაჟკაცები სად არიან! მაშინ იმან ითამადა, მსგავსი არაფერი მენახა. სხვათა შორის, რომ გარდაიცვალა, მისი ქელეხის თამადაც მე ვიყავი.

მიყვარდა იპოლიტე. მე რომ ქუთაისში ჩავედი, იპოლიტე ახალი წამოსული იყო თბილისში და ხალხი აღარ დადიოდა თეატრში... თბილისში რომ ჩამოვედი, კინოსტუდიის ეზოში შევხვდი. მანამდე პირადად არ მენახა. კარს ავეკარი, გზა დავუთმე. გამოვიდა და მომიბრუნდა: შენზე კარგი ამბები მოდის ქუთაისიდან, ყოჩაღ, მაგრამ მარტო კინოს ნუ შერჩები, აუცილებლად თეატრში მოდიო. როცა მეტყვი, მაშინ გაგყვები რუსთაველის თეატრშიო... რამხელა სიკეთეა!

მერე გავშინაურდით, ერთად დავდიოდით, ვქეიფობდით... ერთ დღეს დავინახე კინოსტუდიაში, გავშალე ხელები და დავიძახე:

— შენ გენაცვალე იპო! მოდი ჩაგეხუტო! დააძრო ჩინური დანა და დამიძახა. — არ მომეკაროო და გამო-მეკიდა. რას დამენოდა. ორი წრე დავარტყი და:

— გაჩერდი, შე ვირო, დავილალო.

— რატომ მომდევე-მეთქი, — ვკითხე.

თურმე წინააღმდეგ მოვფერებოვარ და მაგრად მომსვლია სიმთვრალეში, გვერდი სტკიოდა...


რაჭველებისთვის ისევ ზურიკუნა ვარ

ბიჭუნა ვარ ისევ... განსაკუთრებით რაჭველებსათვის — ზურიკუნა და ბიჭუნა ვარ, აბა, რა!

დედისთვის ზურიკო ვიყავი. ახლა გამახსენდა: ერთხელ ზურა ანჯაფარიძეს გავუარე გვერდით, მანქანაში ჯდებოდა. უცებ მისმა მეგობარმა დაუძახა, — ზურიკო! ასეთი ხმით თურმე დედა ეძახდა. გადმოხტა ზურა მანქანიდან, დაიწყო ზემოთ ყურება. ამიტყდა სიცილი. მსოფლიოში ცნობილი კაცი იყო და დედის დაძახილზე პატარა ბავშვივით თვალბგაფართოებული იყურებოდა მალლა, აივნისკენ.

დედა ტკბილია. ერთხელ დამანერინეს წინაპრებზე რაღაც. დავწერე: მამაჩემი ხეობაში ვაჟკაცობით განთქმული, მშრომელი, ბაბუა — სინდისით და ნამუსით სავსე, ბებია — ფელამუშში ამოვლებული ყურძნის მტევანივით ტკბილი და გემრიელი და თინა ხიდაშელი — დედა. დედაჩემს ეწყინა, ჩემზე რატომ არაფერს წერო. ვუთხარი: ნახე რა წერია: დედა! სხვებზე რაც დავწერე, ამ ერთ სიტყვაში ყველაფერი არის ნათქვამი და კიდევ მეტიც... დედა რომ აღარ გყავს, მიმწუხრია უკვე მერე...

მოვიდა მოხუცებულობა. შინ, დაბლა, მარანი მაქვს. ვაყენებდი ტონა-ნახევარ ღვინოს, ცალკე სათავსო მქონდა ღვინისთვის. მოდიოდნენ კინოსტუდიიდან, მთელი თბილისიდან მეგობრები... ახლა ველარ ვაყენებ მაგდენ ღვინოს, არ შეიძლება შენთვის ტონა-ნახევარი ღვინის გადასხმა-გადმოსხმაო. დაუმორჩილებელი კაცი დავმორჩილდი მიმწუხრსა და სიბერეს... მაგრამ სამშობლოს ამბავში არც ვემორჩილები და არც დავემორჩილები არაფერს. სანამ ისე არ იქნება, როგორც მე მინდა ვნახო სამშობლო, მანამ არ დავიბერებ თავს სამშობლოსთვის.



გზავნილები

დაკარგული გვაქვს ისტორია... არ შემხვდა იმნაირი საქართველო, რომელსაც ქართული საქმე აინტერესებს. ანბანის ამბავი დარდად მანევს... ეს იმხელა ქართული საქმეა, რომ ვერ გავჩუმდები. მიმწუხრი მოსულია, მაგრამ როგორც 18-19 წლისა ისე ვიომებ ამ საქმეში, გეუბნებოდით, არ არის ისე, თქვენ რომ გგონიათ, არ არი 33 ასო ქართულში, 35 ასო... ყველას თავისი შინაარსი აქვს. უბრალო მსახიობმა რა იცისო... ვინ გადაიღებს! ვიფიქროთ და ნუ ვუღალატებთ ქართულ წარმომავლობას.

ზურა ქაფიანიძე

2008 წელი.

დღიურები.

პიკასოს ოქროს მედალოსანის, რევაზ მატრეველის გამხმარი ფუნჯი

ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მხატვარი რევაზ მაქსიმეს-ძე მეტრეველი.

რევაზი იყო მსოფლიო დონის მხატვარ — კერამიკოსი, რომლის ნამუშევრების გამოფენა მსოფლიოს 47 ქვეყანაში მოეწყო. 1970 წელს საფრანგეთში მოწყობილ გამოფენაზე მისი ნამუშევარი დიდი ოქროს მედლით დაჯილდოვდა. აღსანიშნავია, რომ ოქროს მედალი ბატონ რევაზს თვით მსოფლიოს მხატვართა ასოციაციის თავმჯდომარემ პიკასომ გადასცა.

რევაზი იყო ბრწყინვალე პიროვნება ოჯახზე, სამშობლოზე უზომოდ შეყვარებული. მისი სახელი დაუფინყარია, მჯერა, რომ ის საქართველოს ისტორიაში საპატიო ადგილს დაიკავებს. რევაზი დაჯილდოვებული იყო მრავალი მედლითა და სიგელებით. უფალი მას სასუფეველში დაუმკვიდრებს ადგილს. ამ ქვეყნად კი მისი ფუნჯი სამუდამოდ გახმა.

რაჰლენ ლოპხანიძე

როგორ ჩავიდა სოფელი მოკახული „ვილისი“ შია აბესალაშვილი და რაში გაეცადა რატომ-ნასწავლი რუსული

ბავშვობა რაჭაში

3-4 წლიდან მახსოვს, რაღაც ამბები... პატარა ვიყავი, რაჭაში, სოფელ ქორთაში ცხენზე ვიჯექი ვილაცხასთან ერთად. წყლის დასაღევად ჩავიდნენ, უნაგირზე დამტოვეს... ცხენი რატომღაც დაფრთხა და გავარდა. ბესიკ თათარაძე გამოეკიდა და გააჩერა. მახსოვს ერთი ამბავი იყო, კიდევ კარგი, ბავშვი არ ჩამოვადო. ცუდი, ქვიანი ადგილი იყო... ბავშვობაში ხშირად ჩავყავი მშობლებს რაჭაში და ბებიასთან მტოვებდნენ. მშობლები თბილისში მუშაობდნენ. ერთხელ ისე ხანგრძლივად ვიყავი ბებიასთან, დედა რომ ჩამოვიდა, სანოლის ქვეშ შევძვერი და იქ ვიცინოდი: მიხაროდა, თან მრცხვენოდა.



ბებიაჩემი ლენა სოფელ შქმერში იყო მასწავლებელი, ჩვენი სოფლიდან 14 კილომეტრი უნდა გაველო... ყოველდღე გადადიოდა შქმერში თოფით ხელში, რომ ტყეში ნადირი მაინც შეეშინებინა, იმავე დღეს ბრუნდებოდა შინ.

ძალიან ვუყვარდი ბებიას... ბაბუასთან ვმეგობრობდი. მაგარი კაცი იყო ამბაკო თათარაძე. სულ ერთად ვიყავით...

თბილისში ქოლერის ეპიდემია იყო. მაშინ სკოლებში სწავლა შეწყდა. მე მამაჩემის სოფელში — საკაოში წამიყვანეს, III კლასში ვიყავი. მიმიყვანეს სოფლის სკოლაში, ერთად ვისხედით დიდები, პატარები... სულ ერთი კლასი იყო. მახსოვს იმ სკოლაში რუსულს

როგორ ვსწავლობდი, წიგნში „3—ზე“ ასოზე ვარდი ესხატა.

უნდა წაგვეკითხა: „როზა, ზაბორო“... თბილისში რომ ჩამოვედი, რაჭაში მიღებული ცოდნა გამოვამჟღავნე. როცა რუსულის მასწავლებელმა მკითხა, რა არის ზაბორო, თამამად ვუთხარი — ხიდი-მეთქი. ხიმეს რაჭაში ღობეს ეძახიან. ბევრი იცინა, სად გასწავლესო...

ორი მამიდა მყავდა, ერთი არ გათხოვდა, ამბობდნენ, შეყვარებული ჰყავდა ომში, მას ელოდაო. ექიმი იყო. ის იყო ბებიაქალიც, ქირურგიც, ერთხელ ვილაც კაცი ჩამოიყვანეს მთიდან ხვირით. ხვირი მარხილზე დასაყენებელი დიდი მონწული კალათივითაა. ნაკელი გააქვთ მაგით და ანაყოფიერებენ ყანებს. ხვირში იყო თივა ჩაფენილი და იმაზე ეწვინათ დაჭრილი. ეს კაცი სათიბიდან მოდიოდა თურმე, წალდით ხეებს სოკოებს აცლიდა. დათვი გადმოუხტა ამან წალდი მოუქნია და ყური მოათალო, — ამბობდნენ. მეორედ მოუქნია — ფეხში მოარტყა თურმე... მახსოვს, როგორ გაუკერა მამიდამ ჭრილობა.

ტელეფონი გვექონდა რაჭაში. 2-25 იყო ნომერი. დაურეკავდნენ ავადმყოფის პატრონები, წავიდოდა მამიდა ჭრაქით, გადავიდოდა მეორე სოფელში, უმკურნალებდა, იმ ღამეს დაერჩებოდათ კიდევ ხანდახან...

რაჭველების დანაბარები...

პატარა ვიყავი, როცა სუხიშვილების ცეკვის ანსამბლში მიმიყვანეს, IV კლასიდან საგასტროლოდ დავდიოდი.

პირველად რომ გასტროლებზე წავედით, მატარებლით მივიდიოდათ ვოლგოგრადში. მატარებელი წიფის გვირაბთან მივიდა, მე ზევით ვინექი, ქვემოდან მასწავლებელი მანვდიდა ლიმონათს. დაჯახების ხმა იყო. შუქი ჩაქრა და ჩვენი ვაგონი გადაბრუნდა... მენწყერი ჩამონოლილა. პირდაპირ ყვირილაზე ვიყავით გადაკიდებული... ბავშვები ამოვძვერით ხვლიკე-ბივით, ყველა გადავრჩით. მასწავლებელს ცოტა გაუჭირდა, სრული კაცი იყო.. იყო წივილი, კვიილი... ჩამოგვიყვანეს გორში... მერე ისევ გავაგრძელეთ გზა

ვოლგოგრადისკენ.

შინ ვხუმრობდი — IV კლასელი ბავშვი როგორ გამიშვით, როგორ არ გამომყევით გასტროლებზე — მეთქი. არ იყო შიში...

იმდენს დავბოდიხავდი ქუჩებში, დაკარგვა რომ მდომოდა, მაინც ვერ დავიკარგებოდი, ვინმე გიპოვიდა და ისევ შინ მოგიყვანდა...

რაჭიდან დამაბარებდნენ ხოლმე, საზღვარგარეთ რომ ჩახვალ, ნახე კარგი ცელები სადმე და ჩამოგვიტანეო... ევროპაში ვის რად უნდოდა ცელი! მერე მითხრა ერთმა, ირანული ცელია კარგიო და მახსოვს, ძლივს ვიშოვე, ვიდაცას ვთხოვე და იმან კიდევ სხვას სთხოვა... მომიტანეს ირანული ცელი, გველი ეხატა. ეს იყო ყველაზე მაგარი ცელი. საერთოდ, ცელს პირის გაკეთება სჭირდება, დადებდნენ და ურტყამდნენ პირზე, ირანულ ცელს ერთხელ სჭირდებოდა მთელი თიბვის მანძილზე პირის გაკეთება...

სკოლაში ცუდად ვსწავლობდი, როგორ მესწავლა, სულ გასტროლებზე ვიყავი და...

ცეკვაზე ნიშნის ფურცლები უნდა მიგვეტანა. დირექტორი იყო გოგი სუხიშვილი. ძალიან მიყვარდა. რატომ არ მოიტანე ნიშნების ფურცლიო. ორიანებს მაყოლებენ-მეთქი. ორიანსო?! ტელეფონის ნომერი გამომართვა, დარეკა, გამომამყოლეს ოთხები. მაგრად შემრცხვა...

სკოლა

ექსპერიმენტულ სკოლაში ვსწავლობდი. ჩუსტე-ბით დავდიოდი, შრომის გაკვეთილზე კი დიდი მონდომებით გვაკეთებინებდნენ აქანდაზებს... მერე სხვა სკოლაში მომიხდა გადასვლა, რადგან დილის ცვლაში მინდოდა სწავლა... მივდივარ, ვხედავ გაკვეთილები არ ტარდება... ბოლო ორი შრომა გვექონდა... ჩავედი შრომის კაბინეტში, მინისქვევა ბუნკერში. ვუყურებ — სეკას თამაშობენ, 5-კაპიკიანი კონი აქვთ. ვფიქრობ, რომ დაინახონ, რა ეშველება-მეთქი. მოდის მასწავლებელი, უღვაშა კაცი იყო, „კარაკულის“ წარბებით. დაიძახეს მასწავლებელიაო. ვფიქრობ, რას უზამს ამ საცოდავებს-მეთქი, მივიდა, ჩახედა ზემოდან. ერთს ეუბნება: — გაიწიე ტალახაძე ჩამსვი კონშიო. იმან — მაიცაო... ამან — ჩამსვიო... მაშინ მოტოციკლეტი მათხოვეო.

მასწავლებელმა მისცა გასაღები: ოღონდ ბევრი არ იაროო. გაცეცხული ვუყურებდი და ვფიქრობდი: აუ, რა მაგარი სკოლაა-მეთქი! გავიხარე!

ხაზვის მასწავლებელს ვუყვარდი ძალიან, რატომღაც მეადვილებოდა ხაზვა და სულ ვიმარჯვებდი ოლიმპიადებში... ჩემმა მეგობრებმა „გეპეოში“ რომ ჩააბარეს, სჭირდებოდათ ხაზვა... ერთხელ, ერთს ვუთხარი, მოდი რას წვალთ, მე დაგიხაზავ-მეთქი. დაუხაზავ ერთი საკურსო, მეორე, მესამე და არ მომამყენა მთელი ჯგუფი?! ყველას უნდოდა დამეხაზა ეგრე სად არის-მეთქი...



ნადირობა

ვნადირობდი კურდღელზე, არჩვზე, დათვზე... ნადირი მეცოდებოდა, მაგრამ? ყანაში რომ შემოვივა და დედას უტირებს ყველაფერს, საქონელს ხერხემალში გადაგიტყის, სპორტული ფინი გიპყრობს. ახლა იმდენი მგელია რაჭაში, მაგრამ არ ესვრიან... რატომ? არ იჭმება და იმიტომ... ტყვიას არ ხარჯავენ.

მშობლებს იმით ვაბეზრებდი, რომ ვიპარებოდი თოფით ღამით სანადიროდ...

სინჯი კინოფილმისთვის

სწავლა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკაზე უნდა გამეგრძელებინა. ჩემგან არ გამოვიდოდა ეკონომისტი... კიდევ კარგი, გოგონამ შემთხვევით ქუჩაში გამაჩერა. — შეიძლება ფოტო გადაგიღოო. ერთად გადავიღოთ-მეთქი... არა, მარტო თქვენი ფოტო გვინდაო... ცოტა ხანში სტუდიიდან დამირეკეს, კინოსინჯი დაგამიღეს და დამამტკიცეს ფილმზე „ნერილები ბამიდან“. ციმბირში ვიმუშავეთ, ოპერატორი ლერი მაჩაიძე იყო, ნადირობდნენ ტაიგაში. საოცარი ადგილი იყო. ძალიან მოგვეწონა.

ვიქტორ კიკნაძესთან ვმეგობრობდი. იმან მირჩია, დარჩი და სატყეოზე ჩააბარე, აქ ვიცხოვროთო... ჭკუაში დამიჯდა და ირკუტსკში ვაბარებდი სატყეოზე. აქედან ატყდა ამბავი: სატყეოს მოგცემთ! დროზე ჩამოდიოთ.

ჩამოვედი და თეატრალურში შევიტანე საბუთები. ტურებში 5-ები მივიღე და ჩავირიცხე, თან თეატრში მოვეწყვე სცენის მუშად. ყველაფერს ვაკეთებდი: გამნათებელიც ვიყავი, სცენის მუშაც... სტაჟი ხომ მინდოდა!

ვსწავლობდი. დიდი დეკორაციები იყო სათრევი... სამაგიეროდ, ახლა გავიგებ სცენის მუშის გასაჭირს და განა, ახლა არ ვეხმარები სცენის მუშებს? ჩვენ ვეხმარებით ერთმანეთს...

მულტგაერთიანებაში მოვანწყვეთ დარბაზი, ღამითაც აქ ვრჩებოდით... პრემიერამდე ამ გარემოში ყოფნა გვერჩინა ჩართულები ვიყავით...

ახლა გამახსენდა, შეკითხვას მოგვცემდა ბატონი მიშა და ჩვენ ვწერდით პასუხებს... ერთი ასეთი იყო: სად არის თამარ მეფის საფლავი... რას დავწერდი? რაჭაში-მეთქი. იქ თამარ დედოფლის კლდეა და მეგონა, იქ უნდა ყოფილიყო. ახლა რომ გელათში საფლავი აღმოაჩინეს და ზოგმა თქვა, — თამარის საფლავიაო. გული დამწყდა... ნეტავი არ აღმოაჩინონ, რაღაც ხომ

უნდა იყოს ხელშეუხებელი-მეთქი.

ჯარში მანქანა მოვიპარე

ჯარში ცხინვალში

ვიყავი. ფაქტობრივად მერაბ ელიოზიშვილის ჯარში ვიყავი... „სამავოკაში“ მივდიოდით მერაბის ეზოში. ვეხმარებოდით კიდეც და შევუბერავდით კიდეც ქეიფს... ჩვენი დოლისა და ჩონგურების ხმა მთელ ცხინვალს ესმოდა. ვწურავდით ღვინოს! მაგარი იყო... მერაბი საოცარი კაცია, რა ხეხილი ჰქონდა, უნდა გენახათ. თავისი ხელით ამყნობდა.

ერთხელ ჯარიდან სათადარიგო მანქანა მოვიპარეთ. ეს ანტენიანი ვილისია. როცა პოსტზე ქართველები იდგნენ, შევუთანხმდით, გავიყვანეთ მანქანა და ერნოს უღელტეხილიდან წავედით ბიჭები რაჭაში. შემოდგომა იყო. ბებია უნდა მენახა... გაიხარა, რომ გვნახა...

მოვილხინეთ, დილით ვხედავთ, იმხელა თოვლი მოსულა, აღარ ჩანს ჩვენი მანქანა... ხარებს გამოვუბით და ძლივს ვათრიეთ, უღელტეხილზე კიდეც ერთი მანქანა იყო გაჭედული. ისიც გადავიყვანეთ სამშვიდობოს და ისე შევედით ნაწილში, არავის არაფერი გაუგია.

ჯარში ვიყავი ბებია რომ გარდაიცვალა... არაყი ამოვუტანეთ უფროსობას და გამიშვა დაკრძალვაზე...

თეატრზე ბევრი კარგი რამ მაგონდება... რომელი ერთი გავისხენო... ძალიან მაკლია ყველა, ვინც ცოცხალი აღარ არის, ერთხელ ედინბურგში ვიყავით. თაზო თოლორაია, რუსიკო ბოლქვაძე და მე მსახიობების ოჯახმა დაგვპატიჟა, რომ მივედით, ოჯახი ხართო, — გვეითხეს. დავეთანხმეთ. თაზო მამად მიიღეს, მე და რუსიკო შვილებად. მე კი მიმამსგავსეს თაზოს ცხვირით, მაგრამ რუსიკო რატომ არ მიიღეს



უმედურებამ შემცვალა. განცვიფრებული ვუსმენ, ზოგი რომ ითხოვს პატივსა და ფუფუნებას.

მწუხრის ჟამი

მიმწუხრი ცარიელი სახლივით სევდიანია... მამიდაჩემის მერე ცარიელია ჩვენი სახლი რაჭაში, ცარიელი სახლია ჩემ გვერდზე, ჩემ წინ... მე ეს სახლები სავეს მახსოვს, სავეს ნალიებით, შემოდგომაზე გრძელ აივანზე გასაშრობად დანყობილი ტაროებით. ბევრი ძროხა და ხარი იყო სოფელში... ახლა სოფელს ერთი უღელი ხარიღა დარჩა, არადა იყო დრო, ოჯახს ჰყავდა ორი უღელი ხარი. ახლა სხვანაირ ცხოვრებას მიეჩვია ყველა, ჩაირბენენ უცხოეთში, ჩამოიტანენ რამეს და გაყიდვიან აქ... სულ ესაა...



ახლაც ვფიქრობ, ძალიან მინდა რაჭაში ვცხოვრობდე... აი, თეატრი რომ მქონდეს იქ, სულაც არ ჩამოვიდოდი...

გიგა ჯაფარიძის თეატრი მახსოვს? მათთვის სულერთი იყო, სად თამაშობდნენ, რიყეზეც შეეძლოთ თამაში, მინდორშიც... ბატონი მიშა ამბობდა, — აი რა მაგარი დასიაო...

ახლაც რაჭიდან ჩამოვედი, თივის ზვინები დავდგით. ჩემს ბიძაშვილს — ნოე აბესალაშვილს ვეხმარებოდი.

ჩემს დად, არ ვიცი... ჩემს დაოჯახებაში დიდი როლი ითამაშა ჩემმა მეგობრებმა. იმათ დამაჩქარეს, თორემ ვაგვიანებდი...

ლურჯ მონასტერში დავინერეთ ჯვარი, ქეიფი წყენთში გავაგრძელეთ, გოგა პიპინაშვილთან. იქიდან რაჭაში წავედით ყველანი. დაგვხვდნენ რაჭველები ჯიხვებით, არჩევებით...

ახლა მყავს ორი ქალიშვილი: — ნინო და სალომე...

აფხაზეთში ომის აფხაზეთის ომში დროს სამაშველო სამსახურში ვიყავი. სოხუმი რომ დაეცა, ჩვენ გადმოგვყავდა ხალხი საკენიდან ჭუბერში, მე და ცოტნე ნაკაშიძე მოხალისეებად გავყვეით ამ ჯგუფს. იყო ყაჩაღობა... ერთი ძროხა მოგვყავდა. ვფიქრობდი

სულ ოთხი კომლია ჩვენს სოფელში, კომლს ვამბობ, თორემ სულ 8 კაცი იქნება... ვაჟკაცები არიან, 6 თვე ზამთარი აქვთ, შეშა და თივა ისეთი ადგილებიდან მოაქვთ, რომ თვალს ვერ შეჰკიდებ. მოხუცი სცენაზე აღბათ აღარ ვიქნები... რა ვიცი, შევძლებ? ისე როლსაც გააჩნია... მეგობრებთან გავატარებ მიმწუხრს. ზოგი ჩემი მეგობარი 80-ს გადაცილებულია, მაგრამ მათთან რომ ვარ, სხვაობას ვერ ვგრძნობ, ერთად ვუბერავთ, ახლა რაჭაში სოკოზე წამყვა 80 წლის კაცი, ჩემზე უკეთ დადიოდა. ჩიტვივით იყო: ხორცი დაამძიმებდა, თუ რა... ასე რომ, მიმწუხრიც არის და მიმწუხრიც...

2009 წლის 9 სექტემბერი

მთის ტაჭის ისტორიიდან

„თათარ-მონღოლთა კალაღოზის წინააღმდეგ შეუპოვრად მიხროლ ქართველ ვაჟაყფაძეთა მთის რაჭაში გადმოსვენა XIII—XIVს-ში უნდა მომხდარიყო“. აი, ასე წერდა მამა, მთის რაჭის უგაღლო მკვლევარი, ეთნოგრაფი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი, მწერალი სპარტაკ რახვიაშვილი.

როდესაც ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახ. უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კავკასიოლოგიის ინსტიტუტის სრული პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის თბილისის სახელმწიფო



მამა-შვილი სპარტაკ და რუსუღან (მანო) რახვიაშვილები

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომლის ლევან ფრუიძის შეფასება;

„ჩვენს ისტორიულ წყაროებს და ფოლკლორს ერთი ნაკლი ახასიათებს — რამე საგანგაშო, უცნაური რომ მოხდებოდა, სახელდობრ, ხალხთა შორის მტრობა, ომი და მისთანანი, მაშინვე აღნუსხავდნენ, ხოლო ხანგრძლივ მშვიდობაზე, ჩვეულებრივ საქმიანობაზე, ეკონომიკურ და მეგობრულ კავშირებზე ძირითადად დუმან. მაგრამ მეცნიერებამ ეს ნაკლი კარგა ხანია დასძლია. ასე აღმოაჩინა სპარტაკ რეხვიაშვილმა კერძ-მოკეთებისა და მეგობრობის უცნაურობის მთელი ინსტიტუტი, რომლის მეოხებითაც არსებობდნენ ერები, ქვეყნები, მხარეები, სოფლები. ლევან ფრუიძე — „რაჭა ეთნოგრაფის თვალთ გვ.12“.

ხალხის ხსოვნას მთის რაჭის სოფლების დაარსების, მოსახლეობის გამრავლების შესახებ დღემდე საყურადღებო თქმულება — ლეგენდები გადმოგვცემს.



დიგორი, სოფელი ნავაყავი, წმ. სალოცავი („მარიამ დორ“), წმ. მარიამ ღვთისმშობელი წმ. ქვა-ლოდი. 1969 წ. 7 ივლისი. ფოტო სპ. რეხვიაშვილისა

უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე ვსწავლობდი, არასდროს დამავინწყებდა ის დღე, როდესაც მე-3 კურსის თემა ეხებოდა ქართველთა და ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა ურთიერთობას. მან აღნიშნა: საქართველოს მეცნიერებათა აკადემია თვლის, რომ შესანიშნავმა ეთნოგრაფმა, სპარტაკ რეხვიაშვილმა, რომელმაც ფეხით შემოიარა ჩრდილო კავკასიის სოფლები, მოინახულა იქ მცხოვრები მრავალი ხალხი, აწარმოა საინტერესო კვლევები და კიდევ ერთხელ უტყუარი ფაქტებით დაასაბუთა, რომ წინა საუკუნეებში ჩრდილო-კავკასიის დიგორის ტერიტორიაზე სუფთა ქართული წარმომავლობის ხალხი ცხოვრობდა.

კარგად მახსოვს მამაჩემი როგორ აღფრთოვანებით მიყვებოდა იქ გაგონილს და ნანახს. მას გაუცვნია 100 წელს გადაცილებული მოხუცი, რომელიც ამტკიცებდა მისი წინაპრების ქართველობას. რაჭველებთან ძმური დამოკიდებულება ჰქონდათ. ღვინოს სვამდნენ და ღორის მწვადებს მიირთმევდნენო. — მეტად საინტერესოა. შესანიშნავი ეთნოგრაფის, ასევე რაჭის დიდი პატრიოტის და მკვლევარის,



მალყარი. მარჯვნიდან სანი მურთაზოვა მეუღლესთან, რახაევის ქალბატონთან ერთად, რომელიც ამყობს თავისი გვარის, რახაილარის წარმომავლობით და სიამაყით ამბობს, მე რეხვიაშვილის გვარის ქალი ვარო.



დიგორი სოფელი ჯინალავი. მარცხნიდან სპარტაკ რეხვიაშვილი, კერძმოკეთე ძმები — სალიკ და ლადო ხამიკოვები და ნესტორი რეხვიაშვილი. მეგობრული შეხვედრა. ფოტო სპ. რეხვიაშვილისა

ამ ლეგენდების მიხედვით დიგორიდან კირტიშოს უღელტეხილით ჩვეუურას ხეობაში გადმოსულან ძმები: გობეჯა (შემდეგში გობეჯიშვილების ხამიჯაა და ია, მათ აქ დასახლება გადაუწყვეტიათ.

„ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიგორიდან მოძმეთა საქართველოში გადმოხვეწა XIII—VIX სს-ში უნდა მომხდარიყო და ისინი თათარ—მონღოლთა და ოსთა ძალადობას უნდა გამოეცხოვრებინათ მომხდურთა წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ. მეტადრე ცნობილია, რომ იმ დროს დიგორი რაჭის ერისთავის მფლობელობაში შედიოდა“. (სპარტაკ რეხვიაშვილი ნიგნი „მთის რაჭა“)

ვახუშტი ბატონიშვილი გვაუწყებს „ეგრეთვე სხუანი ოვსნიცა, გარნა დიგორი მცირედ რასმე ჰმორჩილებს რაჭის ერისთავს, ვინაითგან უპყრიეს მას საჭირო და არის დღევანდელ დღემდე ესრეთ“.

აი რით დაიმსახურა დიგორელმა ქართველმა ვაჟკაცმა მეფის წყალობა და მთის რაჭაში დასახლების უფლება.

მეტად საინტერესოა ჩაგელიშვილების, რეხვიაშვილების გვარის წარმოშობის ლეგენდები, რომელთა კვალს ერთ დროს ქართველებით დასახლებულ დიგორში მივყავართ.

მოგვიანებით მამაჩემი სპარტაკ რეხვიაშვილი წერს: „როდესაც ეს ლეგენდები შევისწავლე, 1969 წლის ივლისში მის ნაკვალევს გავუდექი დიგორისკენ. სოფელ ნავაყევს ვესტუმრე, სტუმართ-მოყვარე მთიელებმა დიდი პატივით მიმიღეს. ლადო ხამიკოვი იყო ჩემი მასპინძელი, ჭიორელი ლადო რეხვიაშვილი (ლექვეთი) ყოფილა მათი კერძმოკეთე, ძმადნაფიცი. ლადოსთვის ქართველი მეგობრის პატივსაცემად დაურქმევია სახელი ლადო. ჩვენი წინაპარი, — დასძინა ლადომ — ქართველი ყოფილა, გვარად რუხინაშვილი, რაჭაში მალალ ხიდთან უცხოვრიათ (იგულისხმება საგლოლოს ხიდი), რომელსაც

მთის რაჭველები, სიდიდ—სიმალის გამო „მალალ ხიდს“ ეძახდნენ წ. შინა ომების გამო ადგილი შესაძლებელია, ვიფიქრო, რომ რუხინაშვილებიც იმ დროს გადაიხვეწნენ დიგორს, სოფ. ნავაყაში დასახლდნენ, რომლის შთამომავალი ხამიკოვების გვარის სახელით დღემდე იქ ცხოვრობდნენ, რომლებმაც კარგად იციან ვისი გორისა არიან და საიდან მოდის მათი წარმომავლობა“.

საგულისხმოა, რომ ხალხურ თქმულება სწავლულთა აღიარების შესახებ სინამდვილეს ელფერს სძენს და დამაჯერებლობას ჰმატებს თვით ოსთ.

ეტნოგრაფი ა. კალოევი ხალხური გადმოცემის საფუძველზე წერს: „რომ დღევანდელი სტუდ-დიგორის დაარსება დასავლეთ საქართველოდან გადმოხვეწილი მონადირე ხამიცას მიეწერება, რომლის შთამომავალი ხამიცოვების გვარის 5 ოჯახი დღესაც სტუდ-დიგორში ცხოვრობს“.

ეს ოჯახები ამბობენ, რომ წარმომავლობით ქართველები არიან. მათი მამა-პაპანი ქართულად ლაპარაკობდნენ, ქრისტიანები იყვნენ და რაჭველ ოჯახებთან განსაკუთრებული გულთბილობა და კეთილგონიერება ახასიათებდათ. ეს საოცარი მეგობრობა, რომელიც მხოლოდ ახლობლებს შორის შეიძლებოდა ყოფილიყო მე—20 ს-ის 30-იან წლებამდე გრძელდებოდა.

ა. კალოევი აღწერს რა ქართველების დიგორის მინა-წყალზე ცხოვრებას. ამავე დროს, იქვე დასძენს, პირუკუც ხდებოდაო. დიგორელი ქართველების რაჭა-ლეჩხუმში გადმოხვეწა და მათი იქაურ სოფლებში ლეშში, ჭიორასა და გლოლაში დამკვიდრდება. ანალოგიურ ცნობებს ვხვდებით „ჩრდილო ოსეთის ისტორიის“ I ტომში.

მეტად საყურადღებოა დიგორში დღემდე შემორჩენილი ქრისტიანული ადგილები და სალოცავები, რომლებიც სპარტაკ რეხვიაშვილს დაწვრილებით აქვს აღწერილი ნაშრომებში.

ნავაყაველი ქალების მთავარი სალოცავი იყო ე.წ. „მარიამ დორ“. დედები სალოცავს შვილთა ბედნიერებას და ჯანმრთელობას შესთხოვდნენ.

მამაკაცების სალოცავი წმინდა „ქვა—ლოდი“ ყოფილა ე.წ. „ხვარი ვაჩალა“. სადაც ისინი ღმერთს ხვავიან, ბარაქიან მოსავალს და ბედნიერ წელიწადს შესთხოვდნენ.

მდინარე ურუხის მარჯვენა ნაპირას სოფელ ჯინალთან ახლო დევს წმ. „დიდი ქვა—ლოდი“, რომელიც წმინდა გიორგის სახელით არის ცნობილი.

„ყველა აქაურ სალოცავს ქართული სურნელი ასდის. „ხვარი“ იგივე ქართული ხვავია“.

ყოველივე ამის შემდეგ რაოდენ გულსატკეპია,

ეთნოგრაფია

რომ ამ უნიკალური აღმოჩენების ავტორი სპარტაკ რეხვიაშვილი მოგვიანებით წერს: „აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ შესწავლილი საგვარეულოების ზოგიერთი ახალგაზრდა წარმომადგენლები მალავენ თავიანთ ნამდვილ წარმომავლობას, აქაოდა ოსობა არავინ დაგვანამოსო. ეს მათ ისტორიული სინამდვილის უცოდინრობით მოსდით და არც სურთ გაერკვნენ მათი წარმომავლობის შორეულ ფესვებში. რაოდენ დასანანია, რომ გობეჯიშვილებისა და დიგორელი გობათის საგვარეულოების ახლო ურთიერთობა და კეთილმეზობლობა დაეინყებას მიეცა. როდესაც ლებელ და ჭიორელ ოჯახებს სურსათი შემოეღებოდათ, დიგორელ მოძმეებთან მიეშურებოდნენ და სიმინდის მარცვლეულით დატვირთულები მოდიოდნენ. მათი ეს ძმური ურთიერთობა და მისვლა — მოსვლა ავადსახსენებელ 1930-იან წლებამდე არ შეწყვეტილა“.

ფასდაუდებელია მამაჩემის მიერ დიგორში მოგზაურობის დროს გადაღებული ფოტო —



დიგორი, 1969წ. 15 ივლისი სოფელი კუსიე (ამჟამად ნასოფლარი). იალმურზა ჩევეთი ქართველ ჩაგელიშვილთა მოძმე და შთამომავალი. ფოტო სპარტაკ რეხვიაშვილისა.

მასალა, მასზე აღბეჭდილი არიან ქართული წარმომავლობის გვარების უკანასკნელი წამომადგენლები, მათ შვილებს და შვილიშვილებს აღარავინ იცნობს.

სპარტაკ რეხვიაშვილმა მიზნად დაისახა გამოეცლინა და შეესწავლა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების ნათესაობისა და მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის უძველესი ჩვეულებები, მრავალმხრივი ეკონომიკურ—კულტურული ურთიერთობანი, კერძოკეთეობის, სხვისშვილობის მცნაურობის საკითხები.

აი, რა საინტერესო ამბებს გვიმხელენ ჯერ კიდევ შეუსწავლელი ბურუსით მოცული გვარ-სახელები, ტოპონიმები, ეთნონიმები. საგვარეულო კომლები, სახელები, რომელსაც მეცნიერული შესწავლა და სათუთი მიდგომა სჭირდება, რომ შთამომავლობამ გაიგოს და შეისწავლოს წინაპართა არა შეფერადებული, არამედ ჭეშმარიტი ისტორია.

რუსუდან (მანო) რახვიაშვილი
ისტორიკოსი



დიგორში მიმავალი ჭიორელი დურგლები იქაც ხალისით მიდიოდნენ და უკანაც სიმღერით ბრუნდებოდნენ. 1912 წ. წინა რიგში მარცხნიდან დგანან: ლექსო ჩაგელიშვილი, სერგო რეხვიაშვილი, მიქელა და ნიკო ჩაგელიშვილები. მეორე რიგში დგანან: ოსი კერძი, ლევანო ჩაგელიშვილი, სპილო რეხვიაშვილი(ხრიკენთი), ილიკო (ბუჩქენთი) ჩაგელიშვილი, აული შექერა (დიგორი, ჩრდ. ოსეთი); დგანან ბიაზარაანთ ოსის ქალიშვილები

შენი და შენთვის თავი თავი

სწორედ ამიტომ რაჭველია, შორიდან უცნობის თავის
ტყუარა სავანეს, სარაც მხეჯ კი განსხვავებულად ათბობს
და ანათებს, სარაც რიონის მშტოთვანე ცაღოები
მთიდან ჩამოცანთა ამბავს მლოღვანებით გარმოსცემენ
განემო ქაღებს. ეს ქიონაა, რესვამზოდების
ნავსაყურელი, თავად რესპონდენცი ნონა რესვამზოდი
გახლავთ, რაჭველი თავისუფლებათა განსხვავებული,
სწრაფი მოქმედებითა და სინსაჩოთ გამორჩეული.
ბეჭადღვინის საყურეთსო მკობრე, ღონისუფლი ქალი,
კანგი რედა და სამიერო მეგობარნი.



ნონა კეხვიაშვილი

ნონა ქ. რესვამზოდი რაიბარა და ვაიბარა. აქვე
შექმნა ოჯახი. ჰყავს ღამანი და ქავიანი შვილები.
მიყვარა ვად იმისა, რომ რაჭაში ანასდინოს ყოფილა,
ყსაზღვრედი ყყვანს იქაყნობა, ყოველი რაჭველი
გვანის ვაგონებისას სინსლის ყოვილს ვინძობს, ვამოეცნობა, საერთოს იპოვის, თუქნობს, რომ
გენეციკა მნიშვნელოვანია. მთავარია ვიყვარდეს, სიახლოვე ბევრს ანათერს ნიშნავს.
ასეთია ნონა რესვამზოდის „შორით ცნობის“ თეორემა და რაჭველი უცომლოვია.



ანა ვარდიძე



ლაშა ვარდიძე



ბასაუბრება დიდ პირდილუბთან

ვანო ცინცაძე

სამშობლო მიუვარს, მტრებმა იციან,
 მტერი კი დაგვსდევს აქ, სადღაც ახლოს,
 ნუ გაიკვირვებ, ძმაო ტიციან,
 მე სადღაც ტყეში რომ ჩამაძაღლონ,
 სიცოცხლეს ჩემსას უჩანს სხვა ბოლო,
 იმედის მზის შუქს აწ აღარ ველი,
 ნუ გაიკვირვებ, ძმაო ზალო,
 მეც თუ დღეს ჩახმანს გამოგვარ ხელი.
 ჩემი ვოდება ზეცას მოედო,
 ვძღვროდი, სანამ ბედი დამსჯიდა,
 ნუ გაიკვირვებ, მეფე-პოეტო,
 მეც რომ ვადმოვხტე ღია ფანჯრიდან
 მინდა სათქმელი დავაკონკრეტო:
 შენა ხარ ლექსის ფუძე და ფესვი,
 და ნუ დამძრახავ, მეფე-პოეტო,
 შენს შემდეგ მეც თუ დავწერო ლექსი
 ვატეობ, ქვეყნისთვის რომ ვარ ზედმეტი,
 თუმც წელში ჯერ არ გადავმტრეულვარ,
 ნუ გაიოცებ, ძმაო, ტერენტე,
 მეც თუ შენსავით დავალ ეულად.
 სულ ბრუსუნებდი
 და დღესაც ჰქუხარ,
 შენი ლექსები იმედით გვაავსებს,
 ვიცი, გადარდებს, რაინდო მუნრან,
 ხეჩუა რომ ზის დავითის სკამზე.
 სამშობლოს დარდი, სევდა და ურვა,
 ვიცი, რომ გულში ახლაც დაგჭრიდა
 უფლისციხესთან ლოცულობ, მუნრან
 და ეფერები მამულს რაჭიდან
 ეჩურჩულები ქართულ ზეცას,
 ფერად მარჯნიანს
 და სხვა სამშობლო, იმაზე მეტი
 არ ვაგახნია.



მწერლობა ბრძოლის ველი, ფრონტი,
 ზღაპრებად დარჩა ზღაპარი დაჩის,
 შენ ვაგიმარჯოს, ძმაო, ოტია.
 ბოლომდე კაცურ კაცად რომ დარჩი.
 ზურაბ, ისრით ხარ გულში დაჭრილი,
 თვალები სულ გაქვს ცრემლით მოძაბლი,
 დღესაც გვჭირდები კოტორაშვილი,
 დღესაც გვჭირდება შენი კომბალი,
 რომ აქლერებდი სიმებს
 მზის დარად,
 სიმღერა გერგო მუდმივ სვებედად,
 ოთარ, ძამიკო, შენი გიტარა
 ეველა ქართველის გულს ამღვრებდა.
 ძმა ვარ თქვენი და ერთსაც
 ვიმღვრებთ,
 ჩემი გულისთქმა თერგზე სწრაფია,
 შემომპარვია სანამ სიბერე,
 ჩემზედ ვწერ ბოლო ეპითაზიას
 თქვენებრ კაცები დღეს სადღა ვებნო,
 ამ ძებნას თავი უნდა ვანებო,
 დაგლოცავთ ჩემთვის
 ცოცხალო ძმებო,
 უკანასკნელი მოჰიკანებო!

რაცა-ლექსუმური მეგობრობა ემიგრაციაში და ტრავმული დასასრული



სახელგანთქმული ამერიკელი რაჟისორისა და პროდიუსარის, XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე ნოვატორი კინემატოგრაფის, სტანლი კუბრიკის შემოქმედებას ჩვენი მაყურებელი კარგად იცნობს განმეორებული ფილმებით: "სპარტაკი", "ლოლიტა", "კოსმიური ოღისაა", "მექანიკური ფორტოსალი", "ნათება", "ზართოდ დასუჭული თვალები", მაგრამ ცოტაა თუ იცის, რომ ჩვენი თანამემამულე კოლა ქვარინი სტანლი კუბრიკის მემოზარი ყოფილა და ცნობილ რაჟისორს რამდენიმე დოკუმენტურსა თუ მხატვრულ ფილმშიც გადაუღია...

ამდინად საინტერესოა ინტერვიუ რუსუდან დაუშვილთან, რომელიც მათად შთამბეჭდავად გვიყვება საინტერესო ქართულ ემიგრანტზე, კოლა ქვარინაზე გვესაუბრა...

- ქალბატონო რუსიდან, რა ინფორმაციის მოპოვება შეძელით კოლა ქვარინაზე, რომელზეც სამწუხაროდ, საქართველოში თითქმის არაფერი იცინ?

- კოლა ქვარინის ბიოგრაფიას ემიგრაციაში კარგა ხანია ვიკვლევ. კვლევაში ძალიან დამეხმარა მისი მეგობრებისა და ნაცნობების - ცნობილი მსახიობისაკაკივასაძის, მწერალაკაკიბელიშვილის, ემიგრანტების - ალექსანდრე სულხანიშვილის, გივი კობახიძის, მერაბ კვიციანიშვილისა და სხვათა მოგონებები. მალე გამოვა წიგნი "ქართული ემიგრაცია ამერიკაში", რომლის მეორე ნაწილში 30 ცნობილ "ამერიკელ ქართველს" შორის კოლა ქვარინის ბიოგრაფიაც არის შეტანილი.

წარმოშობით ლეჩხუმელი კოლა ქვარინი დაიბადა 1900 წელს ქუთაისში, ვექილ ნესტორ ქვარინის ოჯახში. ქუთაისშივე დაამთავრა გიმნაზია. აკაკი ვასაძე იხსენებდა მონაფეობის წლებს და წერდა, რომ ის და კოლა მიღერის სისტემით ვარჯიშმა ათლექტებად ჩამოაყალიბა.

კოლამ პირველმა გადალახა რიონის რთული უბანი, რომელსაც მოგვიანებით "ქვარინის ჩქერები" უწოდეს - აბანოს სახურავიდან რიონში თავით გადახტა.

1910 წელს "დიდტანოვანს" (ასე მას სკოლის მეგობარი მერაბ კვიციანიშვილი უწოდებს), დაუწყია ჭიდაობა. მალე კლასიკურ ჭიდაობაში დაოსტატდა და რამდენიმე გამარჯვებაც მოიპოვა. 1919 წელს დაქორწინდა სილამაზით განთქმულ წმ. ნინოს სასწავლებლის (ზავედენიე) კურსდამთავრებულ მარიკო ყუფარაძეზე, მაგრამ ბავშვი დაეღუპათ და მალევე დაშორდნენ.

- საქართველოდან როდის წავიდა?

- 1927 წელს კოლა მოსკოვში ჩავიდა, ივან პოდუბნიმ კოლა ამერიკაში, მსოფლიო ჩემპიონატზე წაიყვანა და სახელიც მალე გაითქვა... ლონდონში შეხვდა გიმნაზიის მეგობარი, მერაბ კვიციანიშვილი, რომელიც იქ 1919 წლიდან ცხოვრობდა. როცა ლონდონში კოლა ქვარინის წაუქცეველი ფალავანი

ალარ დარჩა, კანადაში მიიწვიეს, მაგრამ კანადელ მეტოქეებსაც იგივე ბედი ეწიათ. კოლამ დაამარცხა ცნობილი ფალავანები - ჟოზეფ ტოტა, მონდი ბერვიკი, ედი ლუისი და სხვ.

ერთხელ ლონიერ ქართველს სპილოც კი აუწვია... უძლეველმა და დაუმარცხებელმა ფალავანმა მთელ ევროპაში გაითქვა სახელი. გაზეთი "პარი სუარი" წერდა: "ჩვენი ნაციონალური მოჭიდავე ბ. დეგლანი წააქცია დათვისმაგვარმა უხეშმა ყაზახმა, ნიკოლოზ ქვარიანმა", რაზეც კოლას პროტესტის შემდეგ გაზეთს ბოდიში მოუხდია: "ქვარიანი ქართველია და არა ყაზახი". პარიზელი ქართველები მოხიბლულნი იყვნენ კოლას ღირსებებით - თავმდაბლობით, სიკეთითა თუ სტუმართმოყვარეობით.

1940-იან წლებში სარბიელს ჩამოშორდა, თუმცა ზოგჯერ მაინც გადიოდა ხალიჩაზე... ემიგრანტი გივი კობახიძე აღწერს მატჩს, რომელშიც 50 წელს მიღწეულმა კოლამ მხოლოდ ქულებით წააგო თავისსავე მონაფესთან. 70 წლისამ კი ცხვირ-პირი დაუსისხლიანა 12 თავდამსხმელ ბანდიტს...

კოლა ქვარიანი შესანიშნავი მოჭადრაკეც ყოფილა. ვიქტორ ინაშვილის იხსენებს: "მე თავი კარგი მოჭადრაკე მეგონა, მაგრამ არ იქნა და არა მისი დამარცხება. ერთხელ კაფე "დე ლა რეჟანსი" წამიყვანა. მოგესხენებოთ, აქნაპოლეონიც დადიოდა ჭადრაკის სათამაშოდ". ეს ეპიზოდი გადაღებულია კუბრიკის ფილმში - "მკვლელიობა".

- ამერიკაში ჭიდაობით გამდიდრდა?

- ჭიდაობით დიდ ფულს შოულობდა, მხოლოდ ლუისსთან გამარჯვებისას 200.000 დოლარი მიიღო, თუმცა ქონების დაგროვებაზე არასოდეს უფიქრია - ყველა გაჭირვებულს ეხმარებოდა, არა მარტო ქართველებს, არამედ კავკასიელებსა და ამერიკელებსაც. თვითონაც არაერთხელ ჩავარდნილა გასაჭირში, მაგრამ არავინ შეუწუხებია. დახმარებას უწევდა ქართულ სათვისტომოს, ქართულ-ამერიკულ ლიგას. აქტიურად მონაწილეობდა ამერიკაში 1931 წელს დაარსებული ქართული სათვისტომოს საქმიანობაში, არასდროს აკლდებოდა ქართულ შეკრებებსა და ღონისძიებებს. მეგობრობდა კავკასიელებთან, როცა სიკო და კონსტანტინე სიდამონ-ერისთავების აშენებულ დასასვენებელ სახლში - "ალავერდში" კავკასიელები იკრიბებოდნენ, ყოველთვის ჩოხას იცვამდა და ჩრდილო კავკასიელთა მიერ ჯერ კიდევ სამშობლოში ნაჩუქარ ვერცხლის ქამარს იკეთებდა.

ალექსანდრე სულხანიშვილი იხსენებდა: "როცა ქუთაისზე ვლაპარაკობდით, სახე უბრწყინავდა.

უნდოდა, მისი ფერფლი ქუთაისის ქუჩებში მიმოებნიათო. ასევე ქუთაისისთვის უნდოდა ძვირფასი ბიბლიოთეკისა და მხატვრული ტილოების შესანიშნავი კოლექციის გადაცემა".

- საქართველოდან ჩასული ქართველები თუ ახერხებდნენ მის ნახვას?

- მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა და რეჟისორმა ნიკოლოზ პაპინაშვილმა 1960 წელს, ამერიკაში მოგზაურობისას მოინახულეს მათი ბავშვობის მეგობარი. იმხანად კოლა ნიუ-იორკში, სასტუმრო "შოტლანდიაში" მეუღლესთან ერთად ცხოვრობდა. კედლები სავსე იყო ნახატებით, თაროები - წიგნებით. "მასპინძელმა ქუთაისის გახსენება რომ დაიწყო, უცბად ეს სამოცი წლის მოხუცებული გადაიქცა თვრამეტი წლის ახალგაზრდად, თითქოს გუშინ ჩამოვიდა ქუთაისიდან, თითქოს არც კი გაველოს იმ ათეულ წელს, რომელიც მან უცხოეთში ხეტიალში გაატარა... ახლა იგი კვლავ დაქროდა თავისი ოცნებით ქუთაისში, ახალგაზრდა გოლიათს ბავშვები გუნდ-გუნდად რომ დასდევდნენ და თვლებში შესცივინებდნენ...", - იხსენებენ მეგობრები. როცა სტუმრებმა ამერიკაში სახელგანთქმული მწერალისა და ბესტსელერის ავტორის, გიორგი პაპაშვილის ნახვა მოინდომეს, რომლის წიგნის - "ყველაფერი შეიძლება მოხდეს" მიხედვით პოლივუდში ფილმი გადაიღეს, კოლამ მაშინვე დაპატიჟა და პაპაშვილიც პენსილვანიიდან ნიუ-იორკში მეუღლესთან ერთად სასწრაფოდ გაემურა. საერთო მხიარულებაში საქართველოდან ჩასულმა სტუმრებმა ერთი საინტერესო აღმოჩენაც გააკეთეს - კოლას და გიორგის ცოლები - არიანა და ელენი ლამის გაქართველებული იყვნენ. "აბა, რა ვქნათ, ქმრები ვერ გავაამერიკელეთ და ისევ ჩვენ გავქართველდითო".

კოლას შვილი არ ჰყოლია, 1973 წელს არიანა გარდაიცვალა, მარტო დარჩენილს ხანძარი გასჩენია და მთელი არქივიც დასწვია. არავის შეწუხებია არ უნდოდა, ამიტომ უპოვართა თავშესაფარს მიაშურა, სადაც დიდი ხნის ძებნის მერე მიაკვლია ისიდორე გაჟონიამ, მაგრამ შეთავაზებულ დახმარებაზე უარი მიიღო: "თუ მაინც და მაინც, სანთელი დამინთეთ, ჩემს სულს ნუგეშად ესეც ეყოფათ". იქვე გარდაიცვალა 1980 წლის 17 თებერვალს 79 წლისა.

ნაწილობრივ აღსრულდა კოლა ქვარიანის ოცნება. მართალია, მისი ფერფლი საყვარელი ქალაქის ქუჩებს არ მოხვევია, მაგრამ მისი ხსოვნა სხვაგვარად არის უკვდავყოფილი - 1990-იან წლებში, ქუთაისის ერთ-ერთ ქუჩას მისი სახელი მიენიჭა და მემორიალური დაფაც გაკეთდა.

მანანა ბაბრიჭია

უწყულს ჩაჩულთა

ხალხის სათაყვანებელი გკურნალი



აფრასიონ პეტრიაშვილი

პეტრიაშვილების ოჯახი რაჭაში ფართოდაა ცნობილი. ვინ არსენია აფრასიონ პეტრიაშვილის სახელი და გვარი, კაცი, რომელიც მთელი რაიონისთვის უმცველად იმედი იყო. თეთრ ცხანჯამხადრეკული ღრმად მოხუცი სიცოცხლის გოლო წუთებშიც მოსახლეობას მხარში ედგა და ყოველად უანგაროდ ეხმარებოდა ავადმყოფებს.

მივყვით ქრონოლოგიურად, ვინ იყო აფრასიონ პეტრიაშვილი, როგორ ოჯახში აღიზარდა იგი და ვინ არიან მისი შთამომავლები. ამ ყველაფერზე ამომწურავ ინფორმაციას გავაცნოვით წერილიდან, რომელიც ჩვენი თხოვნის საფუძველზე გატონმა თეიმურაზ პეტრიაშვილმა (შვილიშვილმა) რადაქცინა მოაწოდა:

აფრასიონ ნიკოლოზის ძე პეტრიაშვილი დაიბადა 1866 წელს სოფ. სხვაგაში. მამა – ნიკოლოზ პეტრიაშვილი, იყო სხვაგის მამასახლისი, ორკლასიანი სასწავლებლის დამაარსებელი და „მზრუნველი“. დედა – თეკლა მინდელი.

1886 წელს დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელი. 1887 გაინვიეს სამხედრო სამსახურში. მისი პირადი თვისებების გათვალისწინებით, სამხედრო ხელმძღვანელობამ თბილისის სამხედრო

სამედიცინო ჰოსპიტლის სამედიცინო სასწავლებელში მიაგვლინა სასწავლებლად.

1888 – 1890 წლებში სწავლობდა თბილისის სამხედრო სამედიცინო ჰოსპიტლის საფერწლო სასწავლებელში, რომელიც იმ პერიოდში საქართველოში ერთადერთი სამედიცინო სასწავლებელი იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც წარჩინებული სამუშაოდ ჰოსპიტალის ქირურგიულ განყოფილებაში სამი წლით დატოვეს.

1893 წელს გადააგზავნეს ქუთაისის გუბერნიაში, აჯამეთში, ტყის მასალის დამამზადებელი მუშების სამედიცინო სამსახურის უფროსად. სადაც ოთხი წელი იმუშავა.

1897 წელს დანიშნეს რაჭის მაზრის სოფ. ამბროლაურში, 6 სანოლიანი საავადმყოფოს ხელმძღვანელად.

1905 წელს, მისი ინიციატივით საავადმყოფო გადაკეთდა 15 სანოლიან, ხოლო 1925 წელს კი 25 სანოლიან საავადმყოფოდ. იგი სიცოცხლის ბოლომდე, თითქმის სამოცი წლის განმავლობაში

მუშაობდა ამბროლაურის საავადმყოფოსა და პოლიკლინიკაში და ასრულებდა თავის მოვალეობას. გამოირჩეოდა უანგარობით. მოსახლეობის დიდი ნდობა და სიყვარული ჰქონდა დამსახურებული.

წლების განმავლობაში, აფრასიონ პეტრიაშვილი ერთადერთი მედიცინის მუშაკი იყო რაჭაში. იგი იმ დროისათვის თანამედროვე, მედიცინის ყველა მეთოდს ფლობდა და საჭირო დახმარებას უწევდა როგორც თერაპიული, ისე ქირურგიული პროფილის ავადმყოფებს. უხდებოდა დაჭრილებისათვის ოპერაციების გაკეთება. საჭიროების შემთხვევაში გინეკოლოგიურ, სტომატოლოგიურ, ოტოლარინგოლოგიურ თუ ოფთალმოლოგიურ დახმარებასაც უწევდა ხალხს. ბევრჯერ გადაურჩენია საფრთხეში ჩავარდნილი სიცოცხლე, ყოველივე ამას თავის დღიურებში აღწერდა.

ჰქონდა დიდი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ავადმყოფების უმეტესობა ცდილობდა ა. პეტრიაშვილისაგან მიეღოთ სამედიცინო დახმარება. ახალგაზრდა ექიმებს კი გამოცდილებას უზიარებდა.

ა. პეტრიაშვილი ჯერ კიდევ 1905–1920 წლებში, ატარებდა პროფილაქტიკურ ღონისძიებებს და ფაქტიურად მრავალი ეპიდემიებისაგან იხსნა ქვემო რაჭა. ჩაატარა ყვავილის მასიური აცრები, რის გამოც დაჯილდოვდა რუსეთის იმპერიის მედლით (სავარაუდოდ 1910 წელს) "ყვავილის აცრისათვის". მედალი, საქართველოს მედიცინის ისტორიისათვის იშვიათობას წარმოადგენდა. პროფესორ ე.გრიბანოვის აზრით კი, მედიცინის მუშაკისათვის გმირობის სიმბოლოდაც აღიქმებოდა. საინტერესოა ამ მედლის ისტორია.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიული არასდროს ყოფილა დაჯილდოვებული იყო ლენინის ორდენით, საპატიო ნიშნის ორდენით, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით, მედლებით.

მის სამსახურებრივ დასახსიანობაში ვკითხულობთ:

„ა. პეტრიაშვილს უაღრესად დიდ პატივს სცემდა მთელი რაიონის მოსახლეობა. უკანასკნელ პერიოდში, როცა რაიონი საკმაო ექიმების კადრებით იყო დაკომპლექტებული, ავადმყოფები, მაინც უცდიდნენ ა. პეტრიაშვილს დ მისგან ელოდნენ სამკურნალო დახმარებას. მოსახლეობაში ასეთი რწმენის დანერგვა, მისი უანგარო და ღრმა ცოდნის შედეგად განეული სამსახურით აიხსნება. იგი საუკეთესო მასწავლებელი და ამღზრდელი იყო ახალგაზრდა ექიმებისა, მისი მამაშვილური რჩევა და ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაგროვილი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა უშუალოდ გადაეცემოდა ახალგაზრდა სპეციალისტებს. სისტემატიურად სარგებლობდა

თავისი მდიდარი ბიბლიოთეკით.

ავადმყოფების მიმართ იყო უანგარო, რაჭის მაცხოვრებლებს ხშირად დაუხსნებელია მრავალი ფაქტი როცა ის დახმარება გაჭირვებულ ავადმყოფებს საჭმლისა და წამლის შეძენაში.

ა. პეტრიაშვილი, მიუხედავად ღრმა მოხუცებულობისა, სიცოცხლის ბოლო წლებშიც, დროის გაუსაზღვრელად უწევდა მოსახლეობას მომსახურებას.

რაიონის ძველ მაცხოვრებლებს ახლაც ახსოვთ თავის მოხუც, თეთრ ცხენზე ამხედრებული, ყაბალახშემოხვეული ა. პეტრიაშვილი, რომელიც დინჯად მიდიოდა ავადმყოფთან და მისი შეხედვაც კი იწვევდა სულიერ სიმშვიდეს და რწმენას, რომ იგი უთუოდ განკურნავდა ავადმყოფს.”

ა.პეტრიაშვილს, ყველა საშუალება ჰქონდა სწავლა გაეგრძელებინა ევროპის ან რუსეთის უმაღლეს სასწავლებელში, ხოლო 1919 წლიდან თბილისში, მაგრამ არსად წასულა იმ მოტივით, რომ რაიონის მოსახლეობას ვერ მიატოვებდა.

გარდაიცვალა 1955 წელს. 89 წლის ასაკში.

მისი საქმიანობა განაგრძო შვილმა, რაიონის მთავარი ექიმის მოადგილემ სამკურნალო დარგში, **თერაპევტმა გივი პეტრიაშვილმა**, რომელმაც ასევე ხალხის დიდი სიყვარული დაიმსახურა. თითქმის 60 წელიემსახურებოდარაიონსრძალი,ჯულიეტაანთაძე, იგი 12 წლის განმავლობაში იყო რაიონის მთავარი ექიმის მოადგილე სამკურნალო დარგში. ვაჟები – თეიმურაზ პეტრიაშვილი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, არის თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი. შალვა პეტრიაშვილი, ცნობილი კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი და კარდიოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელია ერთერთ კლინიკაში.

აფრასიონ პეტრიაშვილის სახელი მინიჭებული აქვს ამბროლაურის საავადმყოფოს.

საგულისხმოა, რომ გარდაცვალებიდან რამოდენიმე ათეული წლის შემდეგ, კენჭისყრაში მონაწილე, ამბროლაურის მოსახლეობის უმრავლესობამ ხმა მისცა და მხარი დაუჭირა აფრასიონ პეტრიაშვილის კანდიდატურას, რათა ამბროლაურის ახლადაშენებულ საავადმყოფოს მინიჭებოდა მისი სახელი. ეს მოხდა იმიტომ, რომ რაიონში თითქმის არ იყო ოჯახი, მისი რომელიმე წევრისათვის ა. პეტრიაშვილს არ გაენია კვალიფიციური და უანგარო დახმარება, რაც დღესაც ახსოვს ხანდაზმულ მოსახლეობას, ხოლო ახალგაზრდები კი მაღლიერებით იხსენებენ მათი წინა თაობისადმი ა.პეტრიაშვილის დამსახურებას.

გზა, რომელიც წმ. ქეთევანის ნაწილებმა გაიარა



დღეს, წმ. ქეთევან ნამებულის ხსენების დღეს, კარგი იქნება თუ გავიხსენებთ, როგორ მოხვდა მისი წმინდა ნაწილები რუსეთის ეკლესიაში. რაჭაში თავის მრავალრიცხოვან თანამებრძოლებთან ერთად ხიზნათ მცხოვრებმა თეიმურაზ პირველმა, 1652-1652 წ.წ. მიიღო რუსეთის დიდი ელჩობა ივლიევისა და ტოლოჩანოვის წინამძღოლობით. უკან გამგზავრებისას, ელჩებს მეფე თეიმურაზმა თან გააყოლა მცირეწლოვანი შვილიშვილი ერეკლე I-ლი (იგივე ნიკოლოზი, ნაზარალი ხანი, რომელიც ითვლება პეტრე პირველის მამათ) და მისი დედა დედოფალი ელენე-ამასთან ერთად, თეიმურაზმა ელჩებს გადასცა თავისი დედის, წმ. ქეთევანის ნაწილებიც. ელჩები იმავე გზით დაბრუნდნენ, რითაც გადმოვიდნენ რაჭაში, ამ გზას ძველად "უდაბურების გზა" ეწოდებოდა. ქეთევანის წმინდანაწილებმა გაიარა ეს გზა, ნიკორწმინდა-აგარა-თლული-

სხარტალი-ველევი-ბეთლევი-სხვაგა-ფუტიეთი-ჭიბრევი-სევა-ფარახეთი-ჯოისუბანი-ზვარეთი-ხეთი-ველეთერი-სხიერი-კომანდელი-ონი-უნერა-ჭიორა-ღები და ულელტეხილი მამხაფარით (შვანიცეკი) გადავიდნენ ყაბარდოში და შემდგომ ჩავიდნენ მოსკოვში.

ეს ის გზაა, რომლითაც წმინდა დედოფლის ნაწილებმა დატოვა საქართველო და გადატანილი იქნა რუსეთში. არ იქნება ურიგო თუ წმ. დედოფლის საპატივცემლოდ ამ გზას მიეცემა მომლოცველობითი ფუნქცია, მისი ხსენების დღეთა პერიოდში.

მამა ავთანდილ გიორგობიანი

სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი; ფაზისის აკადემიის რაჭის ორგანიზაციის თავჯდომარე; თბოფიზიკის მეცნიერებათა დოქტორი.

ჭელიშის მონასტარში საზეიმო წირვა აღევლინა

ნიკორწმინდაში, ჭელიშის უდაბნოში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარში საზეიმო წირვა აღევლინა. წირვა ეპისკოპოსმა ვახტანგ ლიპარტელიანმა აღავლინა.

მამათა მონასტერში ათეული წლის განმავლობაში შეწყვეტილი იყო სამონასტრო ცხოვრება. ადგილზე ერთი თვის წინ ჩატარდა განმედიტი სამუშაოები. მონასტრის აღდგენითი სამუშაოები კი გაზაფხულზე დაიწყება. ასევე, იგეგმება ბერებისთვის საცხოვრებელი ეკლესიების მშენებლობა.

ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი მე-11 საუკუნის ძეგლია.



იუოხანი ღიონისა (პოპიკაული)

ეს გახლავთ ისტორიული XI საუკუნის მონასტერი, სამწუხაროდ ჟამთა სულამ მძიმე კვალი დაამჩნია დაახლოებით 50 წლის წინ ჩამოინგრა და ასე ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა, მაგრამ ღვთის განგებითა და სახელმწიფოს მხარდაჭერით გაიწმინდა ტაძარი და მიმდებარე ტერიტორია, საგაზაფხულოდ დაგეგმილია აღდგენითი სამუშაოები.

მრევლი

მზია ჯაფარიძე

ამ დღეს, მეუფე ვახტანგმა პირველად აღავლინა წირვა ამ ტაძარში, მრევლი ადრეც დავდიოდით აქ, მაგრამ წირვა არასდროს ყოფილა, ამიტომ დღეს დიდებული დღეა, ვულოცავ ყველა მართლმადიდებელს და გაძლიერებას ვუსურვებ.

მრევლი



ბადრი სუფაძის ჩაჭრის ბეჭედი

ჩაჭრის გემო

რამდენჯერაც გამომცხვარან ბაჭული,
მთლად, იმდენჯერ არ ვყოფილვარ თამადა,
მაგრამ სუფრა ისე მიეყარს რაჭული,
თითქოს, ერთ კაცს ათი კაცის ძალა მაქვს...
ღვინის ჭიქა რამდენჯერაც ამივსეს,
ყოველთვის კი არ მისვია სვანჭკარა,
თეთრი ღვინოც კაცს ისე ახალისებს,
მოწეენილი აღარავინ დამრჩადა...
მართლა ისე კი არაა საქმე, რო
რაჭულ სუფრას სულ არ აკლდეს შქმერული,
აღალ ლუკმას კვლავ ვიპოვი საჩემოდ,
საკო რაა, სულ სხვაა ჩვენებური...
ცელიც ბევრჯერ მიქნევია სათიბში,
სად მეცაღა, სულ ჭამაზე მეფიქრა,
ჭადი როა ნატეს-ნატეს ჩაფშენილი,
ლობიოხეც გადავსულვარ ერთ ინჯრას...
მისთვის მართლაც აღაღია შექება,
გავსინჯე და სხვა გემოთი ვიცანი,
ძალას მმატებს და სხვაგვარად მერგება
ხის ძველ გობზე დაკეპილი ჭინჭარი...
კაცმა რომ თქვას, წვიმაც ისე წუნარად ცრის,
ბოდმის კვალიც არ ემჩნევა ნაქარაღს...
ნედლ ლობიოს ცოტა ღორს თუ ჩააჭრი,
აღარ უნდა ნიგოზი და ზაფრანა,
ისეთია, რომ თითქმისაც ჩაატან
თუნდაც ისე, ხელისგულზე სინჯვაში,
მისი გემო სხვას არაფერს არა აქვს
და ზედ ღვინოც მისწრებაა ზირდაზირ...
ღვინის ჭიქა რამდენჯერაც ამივსეს,
ყოველთვის კი არ მისვია სვანჭკარა,
თეთრი ღვინოც კაცს ისე ახალისებს,
მოწეენილი აღარავინ დამრჩადა...
ბედი ვინდა, დაიბადო ქართულად,
ეველა კუთხეს ვეფერები თანაბრად,
ნაწეენი კი, არც არავინ დამრჩება,
რაჭველობით რაღაც სულ სხვა ძალა მაქვს...

ხონჭიორი

კოდიწყალთან არმისული,
სულს ვითყვამდი რივნის ჭაღლით,
თუძცა გული, დასიცხული,
მოვიბრუნე ჩიტყვალთ...
როცა გულიც ჩიტად მექცა
და მინდვრებზე მოვწიოდი,
მომეჩვენა, თითქოს მერცხალს
ფრთებზე ესვა ხონჭიორი...
ერთხანს ასე შევხაროდი
მზეს, დაფარულს ხის წვეროთი,
მერე ტყეც კი შეცბა მგონი,
მეც რომ სიოდ ვირწეოდი...
ეს, რაჭის ცა მლოცავს ასე
და არ იშლის გზაც თავისას...
აქ ვვავილსაც კი ნათლავენ
მონაგრად და ვარსაკისად...
როცა გულიც ჩიტად მექცა
და მინდვრებზე მოვწიოდი,
მომეჩვენა, თითქოს მერცხალს
ფრთებზე ესვა ხონჭიორი...

რიონო

- რით ველარ მორჩი რიონო,
ამ ბორგვასა და ამ ქმენას,
როდემდე უნდა იომო,-
არ მოგასვენა გამჩენმა!..
- მე თუკი მართლა გავჩერდი,
ჩემს მერე რაღა დარჩება?...
ნეტავი, მწვანე ჭაღები
ჩემი თვალებით გაჩვენა...
სულ სიყვარულით ვერთდებით,
ვინ დამიწუნებს არჩევანს,
მხარ-ბეჭიანი ქედებიც
თან მოგვეგებიან მარებდად...
- რადგან, სირთულეც იოლობს
და გულს იმედად აჩნდება,
სხვა რაღა გითხრა, რიონო,-
არ მოგასვენა გამჩენმა!..



მარიანა ყიფიანი = მარსუკაქა

მე ის არა ვარ, სამშობლოს ტომ სასწორზე დადგმს



ვერ შემაძინა ემიგრანტულ ოცმა ზამთარმა..

მე ის არა ვარ, სამშობლოს რომ სასწორზე დასდებს, უიმედობას ფესვებთან რომ დაეჩოქება,
 მე ის არა ვარ, სიუვარულის სიღებს რომ ჩასტეხს, გზად მიუწვდომელ მწვერვალებს რომ დაეტოვება.
 ან რას დამაკლებს ამ ცხოვრების აღმართ-დაღმართი, მიჩვეულია ფენისგული ეკლების ჩხვლეტას,
 ვერ დამაჩოქებს ერთეულთა ნიღბით თამაში,
 მე რას დამაკლებს ბოროტების შორიდან ჭურჭტა.
 დილას ღიმილით შევხვდები და გულს ავაძღვრებ, წარსულს გავატან, რაც აქამდე ცრემლი მიღვრია.
 მე რას დამაკლებს ნაკვერჩხალზე შეხება ფენის, ბევრჯერ ქარცეცხლში აღმოვებულს გამომივლია.
 ვერ შემაძინა ემიგრანტულ ოცმა ზამთარმა,
 გულს ვერ ჩამიკლა საქართველოს ხატად ხსენება და თუ აქამდე ცრემლიანი ლექსები მკლავდა,
 დღეიდან აღბად გულიანად ამემღვრება.
 ბედნიერების ძიებაში დრო გამეღია,
 სვალის ლოდინში დღევანდელსაც ვკარგავ, მოკონია, შევირგო ის, რაც დღეს მარგუნა უფლის განგებამ,
 იქნებ სვალისთვის ეველაფერი მოკონილია.
 მხდალი არა ვარ, შემაძინოს დრო და ჭამთაცვლამ,
 მე ჩემი წილი სიუვარული გულში მინთია,
 დღეს თუ ჩემ სახლში განარება მე არ დამცალდა,
 ფიქრით სომ მაინც წამებითაც არ დამითმია.
 მე ქართველობა დამანათლა უფლის განგებამ, თი... მამულო, რომ იცოდეს რამდენს მავალებ,
 შენი სახელი მეთბილება, მენამეება,
 ზეცას ხატვიით ვაღმერთებ და მიწას სავანედ.

დღეიდან ცრემლებს შევიმშრალე თვალზე დანადენს, სისხლით გაყდენთილ გულსწირზე მოგეფერები, სამშობლო ჩემო!-ტკივილი და დარდი გამანდგე, გემუდარები, ნურასოდეს დამიბერდები.

თუ სითბოს არ გასცემ, სიუვარულს ნუ ელი.....

თუ სითბოს არ გასცემ, სიუვარულს ნუ ელი, ნუ დაუნარბები ფულსა და ქონებას, რად მინდა მე შენი ლამაზი თვალები და უსიუვარულოდ "მთვარეზე" ცხოვრება.
 გაივლი ქუჩაში, თვალს გაგაუოლებენ, სოტბას შეგასწამენ წითელი ვარდებით, განსოვდეს, კაცისთვის სითბოა მთავარი, თავს ნუ დააშეტებ, თუ შეუუვარდები.
 სარკეში ჩახედვამ არ გაგათამამოს, სიმაღლეს ზემოდან არასდროს ზომავენ, თავდახრილ თავთავში მარცვალი მეტია, ქალს ამწარტანობით არასდროს ლოცავენ.
 ქვიშაზე ოცნების კოშკებს ნუ აავებ, ზღვის გადმონახეთქი ტალღებით ინგრება.
 ოჯახის შენებას სამიერკვლად სიუვარულს თუ არ ჩააუოლებ, თავს ჩამოგენგრევა.
 განსოვდეს, ცხოვრება სულ ერთი წამია, არ გაგათამამოს ქებამ და დიდებამ,
 მუხლებზე დაცემულს, შველას რომ ითხოვდი, ვინ წამოგაყენა, ნუ დაგავიწყდება.

ქანტუაძე საქაძე უცხოეთის მდივანი



გელა სულაქა — დაიბადა 1959 წლის 20 თებერვალს ქ. თბილისში. 1976 წელს დაამთავრა 77-ე საშუალო სკოლა, ხოლო 1981 წელს საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ელექტრომექანიკისა და ელექტროტექნიკის ფაკულტეტი. 1981-1984 წლებში მუშაობდა სპეციალურად. 1984-2004 წლებში მსახურობდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში სხვადასხვა სახის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამდებობებზე. არის თადარიგის პოლკოვნიკი. დამთავრებული აქვს სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის უმაღლესი სკოლა. 2004 წლის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მცენარეებისა და ტექნიკის დარგში თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში მიღწეული წარმატებებისათვის. საქართველოს შემოქმედებითი გაერთიანება მწერალთა კავშირის წევრი და ამ ორგანიზაციის 2014 წლის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემიის ლაურეატი ქართულ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში. უსაფრთხოების ანალიტიკოსი. ავტორი ჰუმანიტარული ხასიათის ნაწარმოებების „მართლმართალი-სული ნათელი“ (2000წ.) და „ქართული ანტიკონსტიტუციური ხასიათის ნაწარმოებების „მართლმართალი-სული ნათელი“ (2000წ.) და „ქართული ანტიკონსტიტუციური ხასიათის ნაწარმოებების“ (2010წ.)


აი, ეს ბატონო, სწორედ რომელმაც შეასანიშნა თანამდებობებით გადმოგვცა და სიამოვნებით გვამოგზაურა ბატონი ანზორ მაისურაძის ცხოვრების ლაბირინთებში. ალსანიშნავია, მისი თხრობა, სიუჟეტის ხატოვნად და შთაბეჭდავად ასახვა, დოკუმენტალიზმის მაღალი ოსტატობა, ცხოვრებისეული ფაქტების კადრებად გადმოცემა და სიუჟეტის ღრმად წვდომა. მით უფრო სასიამოვნოა, რომ ეს ადამიანი თავადაც რაჭველია და წიგნის „დიდი რაჭველი“ შესახებ გვსაუბრება.

1971 წლიდან იწყება ამბროსიის საკმაოდ აქტიური და საინტერესო პროფესიული საქმიანობა. — პირველი ხუთწლიანი საზღვარგარეთული მივლინება იორდანის „ჰაშემიტურ სამეფოში“.

იორდანის 1953—1999 წლებში სათავეში ედგა მსოფლიოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი ფიგურა მეფე ჰუსეინი.

ამბროსიი, ცენტრში რამდენიმეთვიანი მომზადების გავლის შემდეგ (ეცნობოდა ქვეყნის ისტორიას, ეთნოგრაფიას, მოსახლეობის ეთნო და რელიგიურ თავისებურებებს, პოლიტიკურ და ოპერატიულ ვითარებას, როგორც დიპლომატის, ასევე მზვერავის წინაშე დასმულ სამომავლო ამოცანებს და ა.შ.), 1971 წლის პირველ ოქტომბერს თვითმფრინავით მოსკოვიდან იორდანის დედაქალაქ ამანში გაემგზავრა. საბჭოთა კავშირის საელჩოში მას უკვე ელოდნენ.

ამ პერიოდისათვის სსრ კავშირის ელჩი



იორდანიაში გახლდათ ანატოლი ანისიმოვი. 1972 წლიდან კი საელჩოს სათავეში ჩაუდგა ალექსეი ვორონინი (1917 – 1998წ.წ.), რომელიც ამ ქვეყანაში ამბროსიჩის საქმიანობის მთელი პერიოდის მანძილზე (1978წ) იმყოფებოდა. ალექსი ვორონინი შეცვალა რაფიკ ნიშანოვა (1978-1985წ.წ.).

ამბროსიჩმა დიპლომატიური საქმიანობა საკონსულოში, ატამის რანგში დაიწყო. დიპლომატიურ სამსახურში ყველა საფეხური გაიარა. იყო ატაშე, მესამე მდივანი, მეორე მდივანი, პირველი მდივანი და დიპლომატიური საქმიანობა დაასრულა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველის რანგში.

იორდანიაში ჩამოსვლისთანავე ამბროსიჩი დიდი ენთუზიაზმით შეუდგა საკონსულოში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებას. მისი, როგორც დიპლომატის, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, მათთვის ვიზების საკითხის მოგვარება და აქედან გამომდინარე ადმინისტრაციული საქმიანობა, სსრ კავშირიდან ერთ დროს ემიგრირებულ პირებთან, ზოგადად ჩეჩნურ, ჩერქეზულ და სომხურ დიასპორებთან ურთიერთობების მოგვარება და ზოგჯერ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა.

პარალელურად, ამბროსიჩი სადაზვერვო მისიის შესრულებას შეუდგა, დაცვით, საწყისი ეტაპისათვის, მოკრძალებულად, ზედმეტი აქტიურობის გარეშე.

დიპლომატის საქმიანობა საინტერესო და შრომატევადი აღმოჩნდა. თავდაპირველად ამბროსიჩი ადგილობრივ ვითარებას გაეცნო.

ამბროსიჩს იორდანიაში ყოფნის პერიოდში არც ქართული საქმის კეთება დაუწყებია.

საზღვარგარეთიდან თბილისში შვებულებით ჩამოსულ ამბროსიჩს მისი მეგობარი და კოლეგა გოჩა გუნიავა ესტუმრა. ამ უკანასკნელმა რომელიღაც ქართული ჟურნალის ერთ-ერთი გვერდის ამონაჭერი გადასცა. მასზე აღბეჭდილი სტატია ეკუთვნოდა ცნობილ ქართველ მეცნიერს, ფილოლოგს, ლიტერატურათმცოდნეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ელენე მეტრეველს (1917-2003წწ.), რომელიც იმ პერიოდში გახლდათ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის (დღევანდელი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი) დირექტორი (1968-1988წწ.).

ქალბატონი ელენე იკვლევდა VIII-XIX საუკუნეების ქართულ მწერლობას, XVI-XVIII

საუკუნეების ლექსიკოლოგიურ, სამართლებრივ კარტოგრაფიულ ძეგლებს. ცალკეული მწერლების შემოქმედებას. მან არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების კვლევას.

მეცნიერულ პუბლიკაციაში ეწერა, რომ თითქოსდა, მე-12 საუკუნეში იერუსალიმის ქართულ მონასტერში მომხდარა განხეთქილება, რის შემდეგაც ქართველი ბერების ერთი ნაწილი წამოსულა იორდანიაში, სადაც შიხანის უდაბნოში ახალი ქართული მონასტერი დაუარსებიათ. სხვა მონაცემები ქართველი ისტორიკოსებისათვის იმ პერიოდთან დაკავშირებით უცნობი ყოფილა.

ბატონმა გოჩამ სთხოვა ამბროსიჩს, რომ ეს უკანასკნელი დაინტერესებული იყო ქართული მონასტრით. ამბროსიჩი ამ საკითხსაც ჩვეული გულმოდგინებით მოეკიდა და იორდანიაში დაბრუნებისთანავე ქართული მონასტრის ძებნას შეუდგა.

მიუხედავად მისი დიდი მცდელობისა პირველმა ორმა წელმა შედეგი ვერ გამოიღო. იმედი თითქმის ამოწურა.

ერთ მშვენიერ, ოქტომბრის მზიან კვირა დღეს, ამბროსიჩს ესტუმრა იორდანიაში საბჭოთა საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტო „АПН“ (Агентство печати и новости)–ის წარმომადგენელი პავლე დავიდოვი მეუღლითურთ და მათთან ერთად გასეირნება შესთავაზა. ეს უკანასკნელი შესანიშნავად ფლობდა არაბულ ენას, რაც საექსკურსიოდ კარგი საშუალება იყო კომუნიკაციისათვის, ვინაიდან ადგილობრივმა მოსახლეობამ, უფრო სწორედ შიხანის უდაბნოს მოსახლეობამ პრაქტიკულად არ იცოდა ინგლისური ენა.

ამბროსიჩმა ეს შემთხვევა გამოიყენა და მეგობარს შიხანის უდაბნოში გასეირნება შესთავაზა. პავლე დავიდოვი შეთავაზებას უწყობანოდ დათანხმდა. კითხვა-კითხვით მიადგნენ შიხანს, რომელიც ამანიდან დაახლოებით ასი კილომეტრის მანძილზე იმყოფებოდა.

პავლე დავიდოვმა რამდენიმე ადგილობრივი მოქალაქე გამოკითხა. როგორც იქნა ერთ-ერთმა მათგანმა გაიხსენა, რომ მართლაც იყო მის მიერ მითითებულ მთაზე რაღაც მონასტრის ნანგრევები. ამბროსიჩი პავლე დავიდოვთან და მის მეუღლესთან ერთად, მთაზე ავიდა, რომელზეც დაახლოებით ჯვრის მონასტრის ზომის ეკლესიის საძირკვლის ნარჩენები აღმოჩნდა.

დამთვალეობა ამ აღმოჩენით ძალიან გაიხარეს, განსაკუთრებით ამბროსიჩი გრძნობდა თავს ბედნიერად. გადაიღეს სამახსოვრო ფოტოები. ადგილის დათვალეობის შედეგად გაირკვა,

რომ ტერიტორიას ადგილობრივი მოსახლეობა სამეურნეო დანიშნულებისათვის იყენებდა. ამუშავებდა მიწას, მოჰყავდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტი, იყენებდა საძოვრებად.

ამბროსიჩმა გადაწყვიტა ტერიტორიის უფრო გულმოდგინედ დათვალიერება, რათა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი დეტალები ეპოვნა. მისდა გასაოცრად, მონასტრის ნანგრევებიდან დაახლოებით 50 მეტრში აღმოჩნდა დიდი და ღრმა ჭა, რომელშიც წყალი, რომ იტყვიან თქიშინით მოედინებოდა. ეს კიდევ ერთი უტყუარი მტკიცებულება იყო იმისა, რომ ამ ტერიტორიაზე ერთ დროს სიცოცხლე სჩქეფდა.

მთიდან პირდაპირ მოსჩანდა მდინარე იორდანეს ხეობა, მკვდარი ზღვა და რაც ყველაზე საოცარი იყო, თვით იერუსალიმი.

ამბროსიჩმა, ყოველივე ნანახი კარგად აღწერა, დაურთო გადაღებული ფოტოები და მის მიერ მოპოვებული ყველა მასალა ქალბატონ ელენე მეტრეველს თბილისში გამოუგზავნა.

მოგვიანებით, მოძიებულით დიდად კმაყოფილი ქალბატონი ელენე, ამბროსიჩის ხელშეწყობით, თავად ეწვია სამეცნიერო მივლინებით იორდანისა, შიხანის უდაბნოს და დეტალურად აღწერა თვალთ ნანახი. სამწუხაროდ ამბროსიჩი იმ დროს იორდანიაში აღარ იმყოფებოდა და ჩვეული მასპინძლობა ვერ გაუწია ცნობილ ქართველ მკვლევარს.

ქალბატონი ელენე მეტრეველი დიდად მადლიერი იყო ამბროსიჩის, რასაც ის არაერთგზის აღნიშნავდა სამეცნიერო თუ სხვა წრეებში.

როინ მეტრეველი:

„ — მინდა ერთი ფაქტი გავიხსენო. ერთხანს ანზორ მაისურაძე (ეს გასული საუკუნის 70-იან წლებში ხდება) მივლენილ იქნა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის

წარმომადგენლად იორდანიაში.

მოგეხსენებათ, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი დახურული სამსახური იყო და ჩემთვის ძნელია, ანზორის სახელმწიფოებრივ საქმიანობაზე მსჯელობა. ვიტყვი მხოლოდ ერთს; ანზორი, პროფესიით ისტორიკოსი, იქაც თავისი ქვეყნის ერთგული დარჩა და ძირითადი საქმის შესრულებასთან ერთად, საქართველოს ისტორიის ნაკვალევსაც ეძებდა და აი, სასწაული. იორდანიაში, შორეულ შიჰანის უდაბნოში ანზორ მაისურაძემ ქართულ მონასტერს მიაკვლია.


ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ცნობილია, რომ საქართველოს სახელმწიფო თავისი ძლიერების დროს, განსაკუთრებით XI-XII საუკუნეებში არა მარტო საქართველოში, არამედ მთელს წინა აზიაში აგებდა ტაძრებს და ქართული სული აქაც ტრიალებდა. ბევრ ქვეყანაში დღემდე შემორჩა ძველი დიდების ნაკვალევი. სწორედ ამგვარი იყო შიჰანის უდაბნოს ქართული ტაძარი.

ანზორ მაისურაძის დახმარებით ამ ძეგლის შესასწავლად იორდანიაში აკადემიკოსი ელენე მეტრეველი ჩავიდა. ქალბატონმა ელენემ შემდგომში არაერთგზის აღნიშნა ანზორ მაისურაძის დამსახურება საქართველოს ისტორიის კვლევის საქმეში“.

ამბროსიჩი იორდანიაში ტურისტული, თუ სხვა გზებით მოხვედრილ ქართველებს, რომ იტყვიან, სანთლით დაეძებდა. ყოფილა შემთხვევები, როდესაც მთელი დღეღეგაცია, რომელშიც ქართველებიც იყვნენ ჩართულნი, იორდანიაში საბჭოთა კავშირის საელჩოში მიუწვევია და საელჩოს თანამშრომლებთან შეხვედრა მოუწყვია.

იორდანიაში ჩასვლისთანავე გაიცნო ამბროსიჩმა და ჩვეული დამხარება აღმოუჩინა ცნობილ ქართველ ხელბურთელს იმედო ფხაკაძეს.

ბელა სულაქა



ამაზა გაზარილის შუბონებანი

სიყვარულს ვერ დაიმკვიდრებ თავგანწირვის გარეშე. ღმერთს ლიტონი სიტყვები არ უყვარს. ღმერთს უყვარს საქმე. კეთილი საქმე არის სიყვარული.

გიყვარდეთ ერთმანეთი. საქართველო სიყვარულმა უნდა გადაარჩინოს. ბოლო ჟამია, თქვენ მოესწრებით ანტიქრისტეს. უფალი მოგთხოვთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ვინც შეინარჩუნებს – ის გადარჩება. ანტიქრისტე ყველგან გამეფდება, მხოლოდ საქართველოში ვერ დაიდგამს ტახტს.


ადამიანი დაულალავად უნდა მიისწრაფვოდეს ღმრთისკენ. უფალი ამას რომ ხედავს, აძლევს ყველაფერს, რაც საჭიროა.

ქრისტემ ლაზარე აღადგინა და ის გაუჭირდება, რომ მე აღმადგინოს? თქვენ ვერ დამინახავთ, მაგრამ ითხოვეთ ღვთისგან და ლოცვას არ დაგაკლებთ, რომ ღმერთი ყველას შეგენიოთ.

ხაჭველი ემიგრანტები ხანადაში

XIX საუკუნის ბოლოს გათუბი რომილდის ქარხნების მოსანახულებლად ჩასულ ამერიკელ მრეწველებს საქართველოს სამხედრო გზაზე ოსების მიერ დაკავშირებული, ჩრდილო ოსეთში მცხოვრები, ცოლშვილიანად აყრილი რაჭველები შემოსვდნენ, რომლებიც საქართველოში გრუნდებოდნენ. პირველი 80-კაციანი ჯგუფი ამერიკელთა მხარეზე მათგან შეარჩიეს და მიწის მუშაობა დასაწყისის რკინიგზის მშენებლობაზე წაიყვანეს. 50, 80, 100-კაციანი ჯგუფებზედ XIX საუკუნის 10-იან წლებშიც ჩაჰყავდათ მუშები რკინიგზის მშენებლობაზე მთარაჭიდან (ღეზი, ჭიორა, უნერა) და ჩრდილოეთ კავკასიიდან — ალაბრიდან. ნაწილი ბალტიის ზღვის, ნაწილი — შორეული აღმოსავლეთისა და იაკონის გავლით. მათგან ბევრი ვეღარ დაბრუნდა სამშობლოში. ზოგი დაიღუპა, ზოგი კი სამუდამოდ დარჩა ამერიკაში. ისინი ძირითადად ქალაქ სინთლსა და მის მიდამოებში დასახლდნენ. მათი შთამომავლები „რეზონ“ — რევიზიონიზმიდან გამომდინარე არ წყვეტენ ურთიერთობას სამშობლომდებთან. ერთ-ერთი მათგანის, ვოლტერ რევიზიონილის მოგონებებზე წიგნის თარგმანი საქართველოში გამოქვეყნდა. მომდევნო წლებში მათ ემატებოდნენ მცირე ჯგუფებზედ ახლოვლები რაჭიდან და დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რკინიგზიდან — ლეჩხუმიდან, იმერეთიდან, სამეგრელოდან, სვანეთიდან, აგრეთვე ჩრდილოეთ რიეთიდან, მანჯურიიდან.

ამერიკასა და კანადას შორის მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირის გარდა, თავისუფალი საზღვარიც არსებობდა, ამიტომ საზღვრისპირა რაიონებიდან მოსახლეობა კანადაში აღვივლად გადადიოდა. რაჭველები ძირითადად სინთლსა და ვანკუვერში იყვნენ დაჯგუფებული, საიდანაც ცენტრონიში, საკრამენტოში, ტაკომსა და სან-ფრანცისკოში მიდიოდნენ. ქართველები კანადაში 1886 წელს ვანკუვერის დაარსებისთანავე გაჩნდნენ, რადგან ქალაქი მსხვილი სამრეწველო ცენტრი, მნიშვნელოვანი სარკინიგზო-სატრანსპორტო კვანძი და კანადის მთავარი ნავსადგური იყო. ქართველი მუშები ვანკუვერში სინთლიდან გადადიოდნენ და ხე-ტყის დამუშავებასა და რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ქართველთა რიცხვი ამ ორ ქალაქში მუდმივად იცვლებოდა, რადგან საჭირო თანხის მოგროვებისთანავე ისინი სამშობლოში ბრუნდებოდნენ, მათ აღვივლ კი ახალმოსულები იკავებდნენ. ისინი ნელ-ნელა დასახლდნენ კანადის ქალაქებში: ტორონტო, ოტავა, ვანკუვერი, ედმონტონი და ა.შ. ამერიკასა და კანადას ქართველები ერთ გეოგრაფიულ რეგიონად მიიჩნეოდნენ და „ჩრდილო ამერიკას“ უწოდებდნენ.



კანადელ ქართველებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ ურთიერთდახმარების გარკვეული სისტემა, რისი წყალობითაც აღვივლად ხდებოდა ადაპტაცია. ბივი კოხასიძე მოგვითხრობს, რომ ვანკუვერში მცხოვრებ 25 ოჯახს (მათგან ერთად მარტოხელეებსაც), დაახლოებით 200-მდე ქართველს, XIX საუკუნის ბოლომდე რაჭაში შემორჩენილი ტრადიციის მიხედვით, სადაც ხშირი იყო დიდი, გაუყოფელი ოჯახები 4 თაობისა და 70-100 კაცის შემადგენლობით, შეუქმნია ვეიბერთელა, სამსართულიანი სახლი და ერთად დასახლებულა. ამ სათემო საზოგადოებას კანადელი ბაუოცები თავისი ზნეობრივ-მორალური და მემორალური ძეგლით. დიდი ოჯახების მსგავსად, რომლებსაც სათავები უხუცესები ედგანენ და ყველა წევრს უნაწილებდნენ საქმეს, ვანკუვერისთემობასაც შეუქმნია უხუცესთა საბჭო, ქალთა კომიტეტი, ურთიერთდახმარებელი სალარო, განათლების სექცია, ბარტონისა და კულტურის ჯგუფი და სხვა. თემი ერთ მკლავს სამურწილო-ეკონომიკურ ერთეულად იქცა, რომელიც სამშობლოში ახლოვლებს და მეზობლად მცხოვრებ აღვივლოებზე მოსახლეობასაც დახმარებდა. დრომ თავისი განიხანა და ეს ერთობა დაიშალა, მომრავლებული ოჯახები ცალკე გავიდნენ, სამსახურის გამო სხვა ქალაქებში მიმომიფანტნენ. მომდევნო თაობებზე დაკარგეს მშობლიური ენა, კავშირი ერთმანეთთან და სამშობლომდებთან, თუმცა ბევრს დღემდე ახსოვს თავისი წარმოშობა.

ამერიკის კონტინენტზე კანადა პირველი ქვეყანა იყო, სადაც 1823 წელს (კეებეკი) ოქროს მოპოვება და დამუშავება დაიწყო. მალე ამერიკაც ჩაერთო ამსაქმიანობაში. 1848 წელს კალიფორნიაში, 1858 წელს კოლორადოში და 1859 წელს ნევადაში ოქროს

აღმოჩენას ნამდვილი „ოქროს ციებ-ციხელება“ მოჰყვა. XIX საუკუნის 70-იან წლებში „ციებ-ციხელება“ ჩაქცრა, მაგრამ 1890 წელს კლონდაიკსა და ალასკაზე ოქროს აღმოჩენას ახალი აფეთქება მოჰყვა. ჩვენ ამ ამბებს უპირატესად ჯეკ ლონდონის

დიმიტრი მეტრეველი



ოქროს მაძიებელი დიმიტრი მეტრეველი დაიბადა 1895 წელს რაჭის სოფელ უნერაში. 1913 წლის 18 წლის დიმიტრი თანასოფლელებს ამერიკაში გაჰყვა. ჯერ სიეტლში, მერე ვანკუვერში. ბოლოს კვებეკი მახლობლად პატარა ქალაქ ვალდორში (ოქროს ხეობა) დასახლდა და რამდენიმე ოქროს საბადო ააშუშავა. ამ დასახლებას „მეტრეველი“ ეწოდა.



დიმიტრი მეტრეველი (ზის მარცხნივ) მისი ვაჟი აგი მიტო (ზის მარჯვნივ) ოქროსმჭედელთა შორის.



1945 წელს დიმიტრიმ (მაიკ მიტომ) ტორონტოში ალმასის საბადო აღმოაჩინა და სალმობტას საწარმო ააშუშავა. მისი უფროსი ვაჟი აგვუსტ (აგი მიტო) XX საუკუნის ბოლოს 2 დიდი ოქროსმრეწველი ფირმის - „Auglmitto eqsplorations Limited“, „Cache d'or Resources inc“ პრეზიდენტი იყო.



დიმიტრი მეტრეველი და მოკრივე ედი ლუისი.



ოქროს მალარო კვებეკში.

ოქროს სარეწებს და აეროპორტს ფლობდა დიმიტრის ბიძაშვილი, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ამერიკის ჩემპიონი ნესტორ მეტრეველი.



დიმიტრი მეტრეველი

თხზულებებითა და ჩარლი ჩაპლინის გენიალური ფილმით ვიცნობთ, მაგრამ არაფერი ვიცით ქართველოქროსმაძიებელთა შესახებ, გივი კობახიძის ერთი წერილის „ქართველები კანადაში“ გარდა, რომელიც გურამ შარაძემ 1990 წელს გაზეთ „თბილისში“ გამოაქვეყნა. წერილში მოთხრობილია, თუ როგორ ჩაძირა ერთი ქართველი მდინარეში ქამარში ჩაკერებულმა ოქრომ. მაგრამ არ არის მითითებული, რამდენი შეინირა ამ ლითონმა, რამდენს მოეცარა ხელი, რამდენი იმედგაცრუებული დაბრუნდა ან ვერ დაბრუნდა სამშობლოში, წარმატებას კიერთეულეებმა მიაღწიეს. მათ შორის იყო დიმიტრი მეტრეველიც, რომელმაც შორეულ კანადაში ქალაქი დააარსა, ალასკაზე კი ოქროს მალაროები ააშუშავა.

დიმიტრი დაიბადა 1895 წელს რაჭის სოფელ უნერაში, გლეხ ნესტორ მეტრეველის ოჯახში. სწავლობდა დურგლობას, წერა-კითხვას ჯერ სოფლისმღვედელთან, მერე უნერის ორკლასიან სასწავლებელში. ხშირად ესმოდა ამერიკისა და კანადის ამბები თანასოფლელებთან. 1913 წელს 18 წლის დიმიტრიც გაჰყვა ერთ ჯგუფს ამერიკაში, სიეტლში, სადაც მას უკვე მრავლად დახვდნენ ქართველები. შემდეგ ვანკუვერში გადავიდა, სხვადასხვა ქალაქების მოვლის შემდეგ კვებეკის მახლობლად პატარა ქალაქი ვალდორში (ოქროს ხეობა) დასახლდა. დაოჯახდა. ცოლად ლიტვური წარმოშობის ქალი შეირთო. მათ სამიშვილი, ვაჟები და აგვუსტ-მიტო და ნესტორი, ქალიშვილი ემილია შეეძინათ. დიმიტრისაც შეეყარა

„ოქროს ციებ-ციხელება“. მიაკვლია ოქროს ძარღვს დაჯერ ერთი, შემდეგ კი რამდენიმე მალარო ააშუშავა. პარტნიორი მისი სიძე, სახელგანთქმული ოქროსმაძიებელი რაშენ კიდი (უილიამ ბალციემერი) იყო. მათ შექმნეს პირველი ოქროსგადამამუშავებელი საწარმო „ორდულაც ინეს“. მუშებთან ერთად მალაროს გარშემო სხვა ხალხიც დასახლდა, დაბას კი მისიგვარის მიხედვით ხალხმა ამერიკული მანერით „მეტრეველი“ უწოდა.

მიტო არ დაკმაყოფილდა კანადური მალაროებით და ალასკაზეც ააშუშავა მალაროები, რომელსაც „მიტოს ანომალიები“ უწოდეს. მალე გამდიდრდა, მაგრამ მისი კეთილშობილი ბუნება სიმდიდრეს არ შეუცვლია — უშურველად ეხმარებოდა თანამემამულეებს ამერიკაში. ბევრი ფეხზე დააყენა დასაკუთარი ბიზნესი ნამოინყო, ეხმარებოდა ასევე ამერიკელებს, ბალტიისპირელებს, უკრაინელებს და სხვებს. დიდ მატერიალურ დახმარებას უწევდა ოჯახსა და ნათესავებს საქართველოში, მაგრამ საქართველოს ოკუპაციის გამო სამშობლოში ჩამოსვლა ვეღარ შეძლო.

1929-1933 წლების ყველაზე ძლიერმა ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას და ბევრი მილიონერი გააკოტრა. მთელისიმდიდრე დაჰკარგა მიტომაც. დაბა მეტრეველი და „ანომალიები“ დაცარიელდა, მაგრამ მან მაინც შეძლო დაცემული წარმოების ისე გამართვა, რომ შეძლებულ კაცად დარჩენილიყო. მაიკ



მიხეილ გრიგორაშვილი

მიხეილ გრიგორაშვილი

ამერიკისა და კანადის ავიამრეწველობაში დიდი წვლილი შეიტანა კონსტრუქტორმა მიხეილ გრიგორაშვილმა (Michael Gregor) ვერტმფრენთა საჰაერო ხრახნების, ვერტმფრენების პირველი ტურბორეაქტიული სამხედრო სატრანსპორტო თვითმფრინავების ავტორმა. მისი ცნობილი „Royal bird“ პირველი ჰელიკოპტერი თავის ფირმაში Gregor arklar-ში მსუბუქი და გამანადგურებელი FDB-1, GR-1 ფირმა „Cels—ში“, სამხედრო სატრანსპორტო უკანა გასახსნელი ლუკით C-123, რომელიც გაუმჯობესების შემდეგ დღემდე ამერიკისა და კანადის შეიარაღებაშია.



მიხეილ გრიგორაშვილი დგას მარჯვნივ პირველი სანაკტ-პეტერბურგში 1811.



გრიგორი და დევიდ ბოილიდა, მაიკლ გრეგორი FGB-1-სთან.



GR-1



კანადის საავიაციო მუზეუმი.



მიხეილ გრიგორაშვილი FDB-1 კანადის საავიაციო მუზეუმში.



წიგნები მიხეილ გრიგორაშვილსა და მის მოძღვრებზე.



C-123



C-123

მიტოსა და მისი ოჯახის შესახებ წერდნენ კანადის გაზეთები. ყველა აღნიშნავდა მის დამსახურებას ოქროსმოპოვებისა და გადამუშავების საქმეში, თუმცა დიდი დეპრესიის შემდეგ მილიონერთა სიაში აღარ ირიცხებოდა. 1945 წელს მაიკ მიტომ და მისმა ამერიკელი პარტნიორმა სალერნომ ტორონტოში ალმასის საბადო აღმოაჩინეს და ალმასის დამამუშავებელი სალმოტას საწარმო აამუშავეს.

1970 წელს დიმიტრი მეტრეველი ფილტვების კიბოთი გარდაიცვალა ქალაქ ჰამილტონში. უფროსმა ვაჟმა, 1950-1953 წლების კორეის ომის ვეტერანმა ვაჟსტამა (აგი) მიტომ განაგრძო მისი საქმე. მას XX საუკუნის 80-იან წლებში კომპანია „უგიმიტო ხელოვნების იმიტად“ დამფუძნებელი და „Cache d'or Resources Inc“ პრეზიდენტი იყო. აგის ფრანგული წარმოშობის ცოლი და ერთი ვაჟი — მაიკი ჰყავს. როგორც ჩანს, მიტომ ამერიკაში ჩაიყვანა ოჯახის წევრები. მამამისი იქ 1936 წელს გარდაცვლილა, დაკრძალულია ვაშინგტონში. მიტოს ბიძაშვილის, ნესტორ იოსების ძე მეტრეველის ფოტო მოგვანოდა ვახტანგლობჟანიძემ. იგი მომავალ სიძესთან, ვასილ ლობჟანიძესთან ერთად წასულა ამერიკაში. 20-იან წლებში დისათვის ეს ფოტო გამოუგზავნია, რომლის მეორემხარეს იუნყებოდა, რომ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ამერიკის ჩემპიონი გამხდარა, 1970-1980-იან წლებში რუსთავის გაზეთის საშუალებით უცდიანათესავეების მოძებნა. იმ დროს მას ქალ-ვაჟი

ჰყავდა. ფლობდა ოქროს სარეწებსა და აეროპორტს.

მეტრეველთა შორს ჯერ ვერ მივაკვლიეთ დიმიტრი მეტრეველის ახლობლებს, კანადაში მოგზაურობისას კი ერთმა ქართველმა გზად გაიარა ქალაქმეტრევილში — დიმიტრი მეტრეველის სახელობის ქალაქი თურმე ისევ არსებობს კვებეკთან...

ამერიკისა და კანადის ავიამრეწველობაში დიდი წვლილი შეიტანა ქართველმა კონსტრუქტორმა მიხეილ გრიგორაშვილმა. ის ავტორი დაგამომგონებელია ვერტმფრენთა საჰაერო ხრახნების, პირველი ტურბორეაქტიული სამხედრო თვითმფრინავების, გასახსნელი უკანა ლუკის სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავებში და სხვა. მისი სახელგანთქმული მოძღვრებიდან აღსანიშნავია გარდენ-სიტიში დაპროექტებული „Royal Bird“ (სამეფოფრინველი) და პირველი ჰელიკოპტერი, ერთ-ერთი საუკეთესო ავიამანადგურებელი „ბიპლანი“ -1 და სამხედრო-სატრანსპორტო C-123. სამწუხაროდ, ის რუს კონსტრუქტორად ითვლებოდა და ნაკლებად იყო ცნობილი თვით ქართულ ემიგრაციაშიც კი. ქართველმა მკითხველმა იგი საკმაოდ გვიან, 2002 წელს გაიცნო.

მიხეილ გრიგორაშვილი 1888 წელს დაიბადა დერბენდში, სადაც მამამისი ლეონტი გრიგორაშვილი საქალაქო სასწავლებლის ინსპექტორად მუშაობდა, ბავშვობა კი ბაქოში გაატარა. 1905 წელს ლეონტი სამსახურიდან გადადგა და გორში დასახლდა. მისი მეუღლე კი შვილებთან — მიხეილსა და

ნინოსთან ერთად სანკტ-პეტერბურგს გაემგზავრა მათთვის კარგი განათლების მისაცემად. საგზაო-საინჟინრო ინსტიტუტში მიხეილი ავიაციით დაინტერესდა და გააზეთი „აერომობილის“ რედაქტორი გახდა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, სხვა ენთუზიასტებთან ერთად, „რუსეთის საიმპერატორო აეროკლუბი“ დააარსა. 1911 წელს ცოდნის გასაღრმავებლად საფრანგეთს გაემგზავრა პიშოფის საზაფხულო სკოლაში, სადაც პილოტის მონაწილე მიიღო, გახდა რუსეთის ერთ-ერთი პირველი მფრინავი და რამდენიმე წარმატებული გაფრენა მოახდინა. პარიზში ეიფელის ლაბორატორიაში ააგო თავისი პირველი საფრენოსნო აპარატი „Россия А“, შემდეგ კი გაუმჯობესებული „Россия В“, რომელიც პირველი რუსული სერიული მონოპლანი გახდა. იქვე მისი კონსტრუქციით თვითმფრინავების საჰაერო ხრახნები მზადდებოდა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შჩეტინინის ავიასამშენებლო ქარხანაში ინჟინრად დაიწყო მუშაობა. 1915 წელს მთავარ კონსტრუქტორად გადავიდა ქარხანა „მელცერში“, სადაც გრიგორაშვილმა იქ თავისი სისტემის ხრახნები დაამზადა. „მელცერმა“ მათი სერიული წარმოება დაიწყო და წამყვანსწარმოედ იქცა.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამ მიხეილს პარიზში მოუსწრო. სამშობლოში ჩამოვიდა ეროვნული საავიაციო მრეწველობის შესაქმნელად, მაგრამ არც სახსრები და არც კადრები მაშინდელ საქართველოში არ არსებობდა. იძულებული გახდა გზათა სამინისტროში ემუშავა. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ კი ის ემიგრაციაშია. ელენდეტ ირკრაფტ“ საჰაერო ხრახნების კონსტრუქტორად მუშაობდა. მალე სხვა რუს ემიგრანტავიატორებთან ერთად, „რეგორ“-ის გვართ დეიტონში, ამერიკის შეერთებული შტატების საჰაერო სამსახურის სამეცნიერო-კვლევით და საფრენოსნო-საცდელ ცენტრში „Daiton rait“ გადავიდა ინჟინერ-კონსტრუქტორად, სადაც ზედიზედ შექმნა თვითმფრინავთა მოდელები. 1923 წელს ლონგ-აილენდზე, გუარდიან-სიტოში განლაგებული ამერიკაში უმსხვილესი საავიაციო ფირმა „Ketrts Rait“ კონსტრუქტორი გახდა, სადაც სწრაფ საბრძოლო თვითმფრინავთათვის ოჯახის დამუშავებაში მონაწილეობდა. გახდა მთავარი კონსტრუქტორი და ერთ-ერთი დამაარსებელი ფირმა „ედ აირკრაფტ“-ის, სადაც ბევრიმრავალფუნქციური კომერციული თვითმფრინავი შექმნა, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა. 1926 წელს მოქალაქეობა მიიღო. სიკორსკისთან ერთად დაარსა რუსული ფირმა, სადაც მისი უახლოესი თანამშემე 1927 წელს ამერიკაში ჩასული ალექსანდრე ქართველიშვილი გახდა, მაგრამ შეკვეთები ძალიან მცირე იყო და ფირმა დიდი დეპრესიის მსხვერპლი შეიქმნა. კანადური ფირმა „Kaar and Foundry“-ს მიწვევით ონტარიოს რაიონში, ფორტ-უილიამში

გადასახლდა. ხელისუფლება იქ ავიამშენებლობის აწყობას აპირებდა, ამიტომ გრიგორაშვილს თავისი პროექტების რეალიზების საშუალება მისცეს. კანადაში თავის ცოლთან, ლი კლარკთან ერთად გადასახლდა. დაამთავრა ადრე დაწყებული „Meipl Lif“. ამასთან, ამზადებდა თვითმფრინავების სერიულ წარმოებას ამერიკული ლიცენზიით. ამდენად, იგი კანადური საავიაციო მრეწველობის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახდა.

1932 წელს მიიღო თავისი ძველი პეტერბურგელი ნაცნობის მფრინავისა და ინჟინრის, ა. პროკოფიევი-სევერსკის წინადადება — დაეკავებინა მის ახალი ფირმაში „შევერსკი ირკრაფტ“ მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის ადგილი. უშუალო მონაწილეობა მიიღო თვითმფრინავთა „SEV-1“, „SEV-2“, „SEV-3“ დამათი მოდიფიკაციების შექმნაში. სევერსკისთან ურთიერთობის გაფუჭების გამო ფირმა დატოვა და ლონგ-აილენდზე თავისი ფირმა „რეგორ ირკრაფტ“ დააარსა, სადაც ორიგინალური მსუბუქი თვითმფრინავი „GR-1“ დააპროექტა. 1938 წელს შექმნა გამანადგურებელ-ბომბდამშენი „აარ ანდ ფაუნდრი -1“. ის ერთ-ერთი საუკეთესო გამანადგურებელ-ბომბდამშენი იყო მსოფლიოში. მაგრამ იმ სქემის თვითმფრინავების დრო უკვე წასული იყო და სერიულწარმოებაში არ ჩაუშვიათ.

მეორე მსოფლიო ომის დასაწყისში იგი მუშაობდა ინდიანას შტატში, პატარა ფირმა „Danbar|Manuufakuring“ და კანადური ავიამრეწველობისათვის თვითმფრინავების კონსტრუქციას განაგრძობდა. 1944 წელს მ. სტრუკოვის მიწვევით ახალ ფირმაში „ჩეიზ ირკრაფტ“ მთავარი კონსტრუქტორის მოადგილის თანამდებობა დაიკავა. 1940-1950-იან წლებში ფირმამ რამდენიმე ძალიან კარგი სადესანტო-სატრანსპორტო პლანერი და თვითმფრინავი შექმნა, რომლებმაც ამერიკაში ამ ტიპის თვითმფრინავების კონცეფციას ჩაუყარა საფუძველი. 1953 წელს სტრუკოვის ფირმა გაიყო — „ჩეიზ“ და „Strukov Airkraft“. გრიგორაშვილი პირველში დარჩა.

1954 წლიდან სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს მისი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი C-123, რომელსაც შეეძლო ძალიან დაბალ სიმაღლეზე ფრენა გახსნილი ლუკით, დაჯდომის გარეშე ტვირთის გადმოქაჩვა და სიმაღლის სწრაფად აღება. თვითმფრინავმა განსაკუთრებული ყურადღება ვიეტნამის ომის დროს მიიქცია, სადაც არ იყო დიდი ასაფრენი ბილიკები. ამ მხრივ თვითმფრინავი შეუცვლელი აღმოჩნდა. 1963 წელს იგი გაუმჯობესეს — აღჭურვეს 2 შიდაწვისა და ტურბორეაქტიული ძრავებით. სწორედ გრიგორაშვილის ამ თვითმფრინავებს იყენებენ პოლიციის რეჟისორები ვიეტნამის ომზე გადაღებულ ფილმებში.

1940-იანი წლების ბოლოდან მძიმედ დაავადებული ავიაკონსტრუქტორი გარდაიცვალა 1955 წელს. დაკრძალულია ნიუ ჯერსის შტატში.

შივი სიხარულიძე

XIII ФЕСТИВАЛЬ КИНО И ТЕАТРА
АМУРСКАЯ ОСЕНЬ

ქატოველი სტუმარი ამუკის კინოსა და თეატრის ფესტივალზე



ენკენისთვის 11 რიცხვი. 2:35 წუთზე მწერალი და მსახიობი გივი სიხარულიძე სპეციალური მინვეით რუსეთისკენ მიმართულ ავიასივრცეს მიარღვევს. ფიქრი თავისდაუნებურად ავად თუ კარგად შედუღაბებულ 70 წლიანი თანაცხოვრების ირგვლივ უტრიალებს. ის ხომ დედით რუსია, ტალაღაევას ქალბატონმა შვილი ქართულად აღზარდა და იმასაც ამბობენ, ქალბატონ ეთერს ქართველობაში ვერავინ შეეჯიბრებოდაო. ამასობაში თვითმფრინავი მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში დაეშვა. ტრაპიდან ჩამოსვლისას მშობლიური განცდა დაეუფლა. წარსულს თვალეში ჩახედა და მეფე ერეკლე გაახსენდა, რომლის გადაწყვეტილებამ საქართველოს სულიერი და ფიზიკური გადარჩენა განაპირობა.

ცოტა ხანში გეზს ქ. ბლაგავეშენსკისკენ აიღებს. იქ მას მთელი რუსული კულტურის ელიტარული საზოგადოება მიეღოს. ელიან როგორც დიდ მწერალს და მსახიობს, რომლის ვიზიტიც წარსულთან შეხვედრის ტოლფასია.



დაჯილდოების ცერემონიაზე



ჟიურის წევრებთან ერთად

გივი სიხარულიძე ამურის შემოდგომის კინოსა და თეატრის ფესტივალზე ჟიურის საპატიო წევრის სტატუსით იყო მინვეული. მწერალმა და

გივი სიხარულიძე რუსეთში ქართული სული ჩაიბანა



ფესტივალის გახსნა.
გივი სიხარულიძე
რაისა რიაზანოვასთან
ერთად წითელი
სალიჩისკენ მიემართება.

მსახიობმა თავის განუსაზღვრელი ნიჭის, გონებისა და არტისტიზმის წყალობით თავბრუ დაახვია საზოგადოებას.

ხალხი ვერასდროს დაივინყებს რუსი ხალხის თანამეგობრობის ეპოქას, განსხვავებით სამხედრო თუ სამთავრობო ურთიერთობებისა. რომ ერთ-მორწმუნე ქვეყნებს შორის ომი დაუშვებელია. კულტურა ოდითგანვე ქვეყნების სულიერი და ფიზიკური გადარჩენის გარანტი იყო, ამბობს ბატონი გივი და იმედი აქვს, რომ ხალხში კვლავ დაბრუნდება წარსულის განცდა. სჯერა, რომ რუსი ჯარისკაცი რუსი გენერალიტეტის ნებას არასდროს დაჰყვება.

გივი სიხარულიძის მიერ გადაგდებულ თეთრ ხელთათმანს მქუხარე ტაში და განუსაზღვრელი ემოცია მოჰყვა. ფესტივალი 12 დღე გრძელდებოდა.



ბატონმა გივიმ ამ პერიოდში არაერთი შეხვედრა გამართა, სადაც გარდა პოლიტიკური მოვლენებისა, მისი წიგნების განხილვაც მოეწყო. გაოცებული მკითხველი აღფრთოვანებას ვერ ფარავდა და მწერალს ათასი ქათინაურებით ამკობდა. ასევე პროდიუსერების მიერ გაჩნდა იდეა მის შემოქმედებაზე ფილმის გადაღებისა. ფესტივალის საზეიმო დახურვისას, ჟიურის თავმჯდომარემ ქალბატონმა ლილია ფედოსევა-შუკშინამ საუკეთესო ქალის როლის შესრულებისათვის ნომინაციაში დაჯილდოება ბატონ გივი სიხარულიძეს მიანდო. ფესტივალს უამრავი სტუმარი ეწვია, ყურადღების ვექტორი ბატონი გივისკენ იყო მიმართული, მან თავის მრავალმხრივი ნიჭის წყალობით წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა პუბლიკაზე.

დასასრულს, მწერალი სპეციალური მინვევით ქალაქის გუბერნატორის ინაუგურაციაზე იქნა მინვეული.

ბრუნდება ბატონი გივი მშობლიურ ქვეყანაში და ფიქრობს, რომ ომი ყველაზე დიდი საშინელებაა, რომ სწორად წარმართულმა საგარეო პოლიტიკამ ხალხს უნდა მისცეს ერთმანეთის სიყვარულისა და მეგობრობის უფლება, იგი აღნიშნავს „რომ მიყვარს პუშკინის, ლერმონტოვის, ჩეხოვის, დოსტოევსკის, მარინა ცვეტაევის, ანა ახმატოვას, პასტერნაკის, ბლოკის, იულია დრულინას და არა ჟირინოვსკის და გენერალიტეტის რუსეთი“.



შენთან შახვედრის საათებს პითვლი

სოსო კერესელიძის ხსოვნა

12 აგვისტოს დამთავრდა შენი სიცოცხლე და თუ დამიჯერებ ჩემიც! — სხვაობა ის არის, რომ შენ ბარაკონის მინას მიგაბარეთ, მე კი დედამინაზე მოსიარულე მიცვალებულად მოვიაზრები.

ვერ დაგპირდები თავს მოვიკლავ-მეთქი, მაგრამ ჩემი გული მკვდარი იქნება. შენი ძმობა არ მომცემს იმის უფლებას, ჩემი ტკივილით ხალხი შევანუხო, გჯეროდეს, შენს შემდეგ ჩემთვის ლალი სიცილი საბოლოოდ დამთავრდა.

ერთმანეთს ბევრი რამით ვგავდით, შენც გტანჯავდა ავადმყოფობა და ცხოვრებისეული ბევრი ტკივილი, მაგრამ არავის აგრძნობინებდი. იუმორს ამოფარებული ხვდებოდი შენიანებს და მეგობრებს.

თავს იმით ვიმშვიდებ, რომ ათასობით ადამიანს ესმოდა თურმე შენი და უანგარო ცრემლით მიგაცილეს საფლავის კარამდე.

შენი ბოლოდროინდელი ცხოვრებით, არც სამსახურეობრივი და არც ეკონომიკრი მდგომარეობით არ იყავი განებივრებული, მაგრამ შენმა უდროოდ წასვლამ, მთელი რაიონის თუ სოფელ წესის მცხოვრებლების გულები შეძრა და ზღვა ცრემლი ადინათ.

უამრავი ახლობლები გვესტუმრნენ თბილისიდან, ქუთაისიდან, ტყიბულიდან.

აი ეს იყო სწორედ შენი კაცურ-კაცობის ფინალი.

ბუმერანგივით დაგიბრუნდა შენი უანგარო სიყვარული ადამიანებისადმი.

ტკივილიანი მარიამობის თვე დაგვიყენე შენს დებს. დისშვილები გულმოკლული დატოვე. შენი

მილდას შვილები, შენი სალომიკა სასომიხდელი დაგტრიალებდა გარშემო გუჯისტან და ნინისტან ერთად, მაგრამ უფალმა იმის ნებაც არ დაგიტოვა, რომ შენი გაცივებული სახე მაინც გვენახა.

ასეთ სიკვდილს არ იმსახურებდი, გულს იმით ვიმშვიდებ, რომ სიკვდილის წინ თავი მოუყარე სალომეს და თათიას შვილებს; ნუცის, ანანოს, გუჯის, ნინოს და შენს უსაყვარლეს შვილიშვილს—ალექსანდრეს და მათთან ერთად სურათები გადაიღე. ბედნიერ და სიცოცხლის მოყვარე ბაბუა და დამასხოვრე თავი. ალექსანდრე ხომ ერთადერთი ნათელი სხივი იყო შენი ცხოვრების ბოლო წლებში.

უზომოდ გახარებდა ნინოს სიახლოვე სალომესთან და თათიასთან, ხშირად მირეკავდი და მეუბნებოდი, ახლა გადმოახედა ივანე კერესელიძეს და დაანახა მის შთამომავალს როგორ უყვართ ერთმანეთიო. ვაი, რომ შენ ველარაფერს დაინახავ, თორემ ეს ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება, სიყვარული ჩვენი ოჯახის უპირველესი თვისება იყო. ჩვენი სახლ-კარი მუდამ ღიაა ერთგული ხალხისთვის—გოცირიძეები, ჯავახიშვილები, მესხები, ინასარიძეები, ურეკაძეები, ქოქოსაძეები, გამყრელიძეები, ციციშვილები ხომ ჩვენი ოჯახის სასურველი სტუმრები არიან.

სიმდიდრით არ გამოირჩეოდა შენი მამის ოჯახი, მაგრამ სიყვარულით იყო გამორჩეული და ყველა ზემოთჩამოთვლილი გვარების თავშეყრის ადგილად მოიაზრებოდა. ჩვენი მამის სიმღერის მოსასმენად იკრიბებოდნენ, ხარობდნენ და სიყვარულს და ხალხთან ურთიერთობას გვასწავლიდნენ. ვაი, რომ

ბევრი მათგანი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან.

არც მათ გაუხარდებოდათ შენი ნაადრევი წასვლა, მაგრამ პატრონობას არ დაგზარდებიან, შენი დეიდები, გოცირიძის ქალები, დედაშენთან ერთად ჩაგიხუტებენ გულში.

ვინც მე და შენ გვიცნობს, ჩემს დარდს ადვილად გაიგებს, შენ ხომ ჩემი პატარა სოსო იყავი, შვილივით გზრდიდი, თერთმეტი წელი იყო ჩვენს შორის სხვაობა, ჩემს შოთასაც საკუთარი შვილებისგან არ გაურჩევია. თქვენი დამოკიდებულება, როგორც სიძე-ცოლისძმის, სანიმუშო მაგალითი იყო ყველა ახლობლისთვის, ამის აღიარება ნამდვილად არ შემრცხვება, რადგან უამრავი ხალხია ამის მოწმე. ვაი, რომ 58 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან და ჩვენზე ზრუნვა შენ დაგავალა, მას შემდეგ 20 წელი გავიდა. მაგრამ დრო ვერაფერი მკურნალი გამოდგა ჩემთვის, კვლავ დავეძებ ხილიანსა და ნუცუბიძის ქუჩებს შორის, კვლავ ველოდები მის მანქანას 61-ე სკოლის წინ.

მეცოდები ჩემო შვილივით საყვარელო ძმაო, სანამ ვიარსებებ ამ ქვეყანად, მოვიტყუებ თავს, რომ ამბროლაურში დგახარ ჭადრის ხის ქვეშ შენს მეგობრებთან ერთად და შენეული იუმორით ატკბობ მათ სულსა და გულს.

იმედს ვიტოვებ, რომ თაობიდან თაობას გადაეცემა შენს მიერ წარმოთქმული სხარტულები და ლეგენდებად დარჩება კაცთმოყვარე რაჭველების მეხსიერებაში.

ალალი იყოს ბარაკონის მინა შენთვის, საუბედუროდ, ბევრი კეთილი ადამიანის სული მიიბარა შენთან ერთად. შენი დედა, მამა, გენოდი, შენი უფროსი ძმა, აბელი, და თევრადი. რომელი ერთი ჩამოვთვალო, როგორ განიცდიდი ცაგო მაისაშვილის გარდაცვალებას. გირეკავდი და გამშვიდებდი. რა იცოდი თუ შენც ეს დღე გელოდა. აბა თქვენ იცით, როგორ მოეფერებით ლამაზ გოგონებს ჩემს ნათიას და ცაგოს, ჩემს ირაკლის. იმედია მალე მომიკითხავ, გვჯეროდეს, რომ ამ ქვეყნიურ ცხოვრებას თქვენთან ყოფნა მირჩევნია, უამრავი გულსანვაი ადამიანები მელოდებიან.

ილოცე შენი შვილებისათვის და ალექსანდრესთვის, ვინატრებდი, რომ შენი ადამიანური თვისებები: ვაჟკაცობა, კაცთმოყვარეობა და მტკიცე ნებისყოფა შენს ვანიკოშიც გადასულიყოს და ივანე კერესელიძის და სოსო კერესელიძის ღირსეული შთამომავალი ყოფილიყოს.

გჯეროდეს, სანამ ცოცხალი ვიქნები ვილოცებ შენი მეგობრებისათვის, რომლებმაც გულწრფელი ცრემლებით მიგაცილეს საფლავის კარამდე. უფალმა დალოცოს თითოეულის ოჯახი და ბოლო იყოს ჩვენი გაჭირვება მთელი რაჭის, კერძოდ, ამბროლაურის და

სოფელ წესის მცხოვრებლებისათვის.

მშვიდობით, ჩემო პატარა „სოსოუკა“, იმედია მალე მომიკითხავ, აკი გითხარი, რომ მად უფრო მეტად ვჭირდები ჩემს შოთას, ირაკლის და ჩემს ნათიას — მეთქი.

„რბ უღმობელი ეოფილა ღმერთი,
გაუძამლარნი ეოფილა მიწაც,
როცა მოუკლა ორ დას ერთი ძმა
რასა ფიქრობდა ნეტავი იმ წამს“.

შენი მონატრული დეი:
თინა და მილდა კირეისელიძეები.

თორმეტ აგვისტოს დაბნელდა ჩემთვის
გულში ჩამოწვა, დარდი და ნისლი,
უშენოდ ჩემთვის სიცოცხლე არ ღირს,
შენთან შესვედრის საათებს ვითვლი.

ჩემი სურვილი მუდამ ის იყო,
დებს შენი ხელით დაგვეროდეს მიწა,
ორი და მუდამ შენი ნატრული
დღესაც ცოცხლად გთვლით, შენს თავსა ვფიცავ.

უფალს მადლს ვწირავ, რომ სიკვდილის წინ,
შენს გულში გაჩნდა სხივი ნათელი,
ეს სხივი შენი ალექსანდრეა,
სად-საღამათი, ბიჭი ჯანმრთელი.

ვინც შენ გიცნობდა, ეველა დალოცავს,
შენს კაცობაზე ბევრსაც ეტყვიან.
შენ ის კაცი ხარ, ხალხს რომ უყვარდა,
და უწიგნურნი თავს, რომ ესხმებიან.

მონატრებულმა ოჯახურ სითბოს,
სოფელში თავი დაიმარტოვე,
არ გაუფრთხილდი შენს ჯანმრთელობას
გამწარებული დები დაგვტოვე.

ბევრჯერ გატკინეს გული ზოგ-ზოგმა
ხალხმა კი იცის თუ ვინ-ვინ არი,
შენმა დაკრძალვამ დაადასტურა
შენი კაცობის ბოლო ფინალი!

თინა კერესელიძე

ფოლკლორი და ეთნოგრაფია

ჩაქაში მიმოფანტყრი მახგარიტები

ამბროლაურში გავრცელებული ხალხური საკრავებიდან აღსანიშნავია დაირა, გარმონი, ფანდური, გუდასტვირი და ჭიანური. ეს საკრავები დომინირებდა ჭრადის შუაში, სანახშირებში, ოჩხარში, ზეთიფაფოგაზე, ქათმისლეჩიაზე და აბანოეთში, ჭრებალოში, გუბაულში, ამბროლაურში, გამართულ გაზრობაზე ე.წ. „იარაგოკობაზე, სადაც იმართებოდა ქალების ნკვერევა-გადანახულება, თამაშობები: „თოკა ასვლა“, „კუკუარიკობა“, „სარწინაო-საქრიალო“, „საჭყავა“... ფოლკლორის ნიშნები ცეკვა „ნაცვლია“.



დღეს ფოლკლორს ემსახურებიან ანსამბლები: „საბალოგელი“, „იანანა“, „საპოვნელა“ და ქორეოგრაფიული ანსამბლები, აგრეთვე ნიჟორნინდისა და ფუტიეთის უხუცესთა გუნდები.

ასლანური მრავალშემიერი დაიბადა წესში. ასევე ჭიანურზე დაკვრის მსტატები ამ სოფლიდან იყვნენ. მაგალითად, აკაკი გოცირიძის ოჯახი.

ფოლკლორის კრები: ლიხეთი, აბარი, წესი, ფუტიეთი, კვაცხუთი.

რაჭული სამზარეულო

ლობიანი ლორით — ხაჭაპური (ბოხჩუანი — ყურიანი)

ბაჭულები (ნადუღისა და კვერცხის გულსართით)

ცერცოვანი — (ცერცვის გულსართით)

კვახუანი — (კვახის თესლის გულსართით)

ჭადოვანი — (პურის ცომში ღორის ქონით შეზავებული სიმინდის ფქვილი)

ბიმპურა — (ერთად მოხედილი მწადისა და პურის ფქვილით)



ქადა — (გულსართი ღორის ქონით ფქვილთან ერთად) ბოხჩუანს ეძახიან ზემო რაჭაში შეეცვილ ხაჭაპურს, ქვემო რაჭაში ყურიანს. აქვს კონვერტის ფორმა.

ნიორწყლიანი ქათამი

შენურულა (კომბოსტო კაკალსა და ნიორში შეზავებული)

კვახინელა (კვახისგან დამზადებული აცმულა კაკალსა და ნიორში შეზავებული).



დღესასწაულები

ტეხისობა (თლულში)

აბარობა (აბარში)

ფუძეობა (ამბროლაურში)

ფუძემზეობა (ნიკორწმინდაში)

ელიობა (ხვანჭკარაში)

კოხინარობა — კოხინჯრობა (ბოსტანაში)

ჯვარობა — (გუნდულში)

ნიფეთელიობა — ღვიარობა (ჩორჯო, ღვიარა, ბოსტანა).

ბოსლობა თითქმის ყველა სოფელში და სხვა საეკლესიო დღესასწაულები სრულად.

ტოპონიმიები

ფარცხატა

გორმაღალი

თარიკონი

დაყვავილი

ჟოშკო

სოხორთული

კორდიოფალა

ბზნალა

ფაქუში

ნაორმაღა

დათვი წუმპია

საყვერბია

შავდელე

კიდომანა

სეიშორე

ხვარიკაული

გორისტევა

ოდანი

სალხინო

საჭყამია

იხვა

ცხმორა

ბადაურა

კარვინა

სისინაურა

ნანისქვარი

ნატბეური

ჭოლოური

ნაფუძეარი

ამხაპირა

დომირო

ლომიოდი

ხარხანა

კაპრალა

ჭურთოთური

ნაომარა

ცირგული

სირფულა

დომირო

ლათაშური

დექციხე

დოქიტეხია

ღურღულა

სამარვანი

კვარატყეულა

ხვარჯი

წყალმყარალა...

რაჭული ლექსიკონი

ჩაეჩხეკა — დასახლდა

ხელმოთავებული — საშოვარზე წასულმა ფული რომ იშოვა

მოშენებული — გამრავლებული ოჯახი

ჩოდარი — პირუტყვით მოვაჭრე

თავქეები — წისქვილის ადგილი

გომ—ჯიროლი — ჩამდინარე წყლის ხევი

კაპანი — დაკიდებული შური

ორჯე — საქონლის გასადენი ვიწრო ბილიკი

წავარნა — ვიწრო ბილიკი

აშობილი და ნამაშვარი (ასაკაფი ტყე)

სანაკოდე — ნაკოდი, ნაპობი

ხორისა — მრგვალი შეშა

თეთრი ტყე — წინეოვანი

შავი ტყე — ფოთლოვანი

საფცქენელი — საფურცქენი — მუყუდოთ, დიყზე, მდუსს, გოგშოდმელას ეძახდნენ, რადგან მათ ღეროებს ფრცქვიდნენ და მიირთმევდნენ.

ხოჩალა კაცი — მოხერხებული კარგი ვაჟკაცი.

ეთნოგრაფიის თვალსაზრისით გამორჩეული იყო ქვემო რაჭა. არსებობდა საბელავის კულტურა და ტყის მოვლის ხალხური წესი, რითაც ნიადაგსაც იცავდნენ და ღობის მოვალეობასაც ასრულებდნენ ის ხეები, რომლებსაც სპეციალურად რგავდნენ ვენახების კიდურებსა და წყლისპირებზე და დღეს ბუნების ძეგლებად რომ ქცეულან.

მაგალითად, მანეული ანუ კაპიჭი- წნელის მომცემი და ამავდროულად დეკორატიული მცენარე იყო. მისგან ამზადებდნენ წნელის ჭურჭლისთვის (შარანგული) ავეჯს. იყენებდნენ საღობედ, ვაზის ასახვევად, ჯაგნების ასაცმელად, ფიჩხის შესაკონად...

მიწის დაცვის ხალხური საშუალებანი იყო მოზვი-ნვა, შეყორვა, დალატენა, დაჯარჯვა, დაღობურება, დაკვალვა, ტყებუქენარისა და საბელეების გაშვება, ბეგების გაშენება, მიწის ჩანაცვლება, ხოლო რაჭული სახვნელი განსაკუთრებული და სხვა კუთხის სახნისებთან განსხვავებული იყო; იგი თანაბრად შლიდა მიწას.

რძისფერი მიწა — ასე მოიხსენიება ისტორიულ ყაროებში რაჭული თიხა, რომლის გადამუშავება ძირითადად ხდებოდა კრამიტის და ჭურჭლის დასამზადებლად. არსებობდა ჭრებალოს კრამიტისა და ამბროლაურის აგურის ქარხნები). ქვემო რაჭაში მოჰყავდათ სიმინდსა და ხორბალთან ერთად პარკოსნები: მუხუდო, ლობიო და ცერცვი, ცულისპირა... ენდემური ხორბლის ჯიშებიდან სელექციური ღირებულებით საქვეყნოდაა ცნობილი „მახა“ და „ზანდური“, „ხვანჭკარის“ მომცემი ალექსანდროული და მუჯურეთული. საკუთარი ვაზის ჯიშებიც კი ჰქონდათ გამოყვანილი „ხოტურა“ და „თხმორულა“.

განთქმული იყვნენ ამბროლაურელი ხისა და ქვის დამუშავების ოსტატები, ხუროები. აქ ოჯახის სიამაყედ მიაჩნდათ თხილის ხის სახლ-ბელელისა და სანახელის

ქონება. რომლებიც ჯერ კიდევაა შემონახული შარეულას ხეობაში მდებარე სოფლებში (ცახი, გოგოლათი).

ალსანიშნავია, რომ ხუროები ამზადებდნენ (თელის, ცაცხვის, წაბლის და თხილის) საშენ-მასალას ე.წ. „ცერახერხით“ ტყეშივე, იქვე აგებდნენ სახლებს. ულუსმნოდ და მერე გადმოჰქონდათ. კვაცხუთში იყო ასეთი ოსტატი, ვალიკო დვალაძე, რომელსაც დაუნგრეველად შეეძლო სახლის სხვაგან გადატანა, ჯერ კიდევაა შემორჩენილი მოჩუქრთმებული როგორც ხის აივნები, ისე ჩუქურთმა ამოქარგული ქვის ჭიშკრების ქვის სვეტების კოლონადა ორნამენტებით, საფლავს ქვები. ჭების ამოშენების სტილი წონინარი განსხვავებული და გასაკუთრებული.

ფაქტობრივად აქაურები თავს ირჩენდნენ კალატობით და ხელოსნობით აქაურთა აგებული ხის სახლები და განსაკუთრებით ხიდების ბურჯები დღესაც შემორჩენილია გურია-სამეგრელოში, სამცხე-ჯავახეთში, აფხაზეთში, რომ აღარაფერი ვთქვათ თვით რაჭაზე.

აქაურები ცნობილი იყვნენ თიხის ჭურჭლისა, რქისა და ძვლის დამუშავებით, ქვევრების დამზადებითაც, რაჭული თორნე ხომ დღესაც ცნობილია, ამიტომ ონიდან ალპანამდე ქუთაისში მიმავალ გზაზე ხშირად შეგხვდებოდათ ფუნდუკები ხის კოხტა შენობები — სადაც კუთხისთვის დამახასიათებელ საჭმელ-სასმელს შეექცეოდნენ მგზავრები. მათგან ყველაზე დიდი მოთხოვნილება იყო სართვიანებზე, ბაჭულბზე, რომლებსაც ასტრალურ-მაგიური ნაბეჭდები ჰქონდა, ლობიანი და ლორი თავისთავად.

რამდენადაც დიდი გამოყენება ჰქონდა კირს, ამდენად საკირეებიც მრავლად ჰქონდათ და დღემდე აქაურების დამწვარი კირი გამორჩეულია.

სასმელ-საჭმელიდან ცნობილია კუთხე ხვანჭკარით, ლორით და ლობიანით.

რაჭველებს ჩაცმულობაშიც ჰქონდათ საკუთარი სტილი. ქალები დგიმ-სავარცხლებით შალეულსაც ქსოვდნენ და ხალიჩებსაც. აბრეშუმის ყაჭის ამოხვევის ოსტატებიც იყვნენ და დარაიებითაც: მამაკაცები ჩოხა-ახალუხითაც იწონებდნენ თავს, ნაღებითაც და ქალამნებითაც, თომი და წერეკო გამოიყენებოდა ბანდულაში და ქალამნებში ჩასაფენად. ტრადიცია იყო მათი საპონთან ერთად მოხარშვაც.

რაჭული ოდებისათვის დამახასიათებელი იყო სვეტებზე ჩამოკიდებული ნივრის, ქალაკოდის, თიორშის, დილხამის, ხახვის გრილიანდები, ძახველისა და ჭნავის (ცირცელის) ნაყოფიერი ჯაგნები, ყურძნის აკიდოები თავისთავად.

მევენახეობა-მეღვინეობის საკუთარი ტრადიციები ცნობილია. აქაური გლეხი ხომ ხალხური კალენდრით სწორად გვემავდა წლის დროებს ე.წ. „ალოებად“. თავს იწონებდა ჭურ-მარანში წინაპართა წესით დაყენებულ-დაძველებული ღვინით აქაურმა კაცმა გარდაცვალების გარდაუვალობაც იცოდა და უკანასკნელი დღისთვის წინასწარ ამზადებდა საკუთარი გასვენებისათვის ღვინოს და აძველებდა, რასაც 20 წელიწადი მაინც სჭირდებოდა.

დალი დარახველიძე

როგორ ადმოაჩინეს თურქეთში ქართველებმა საქართველო



გიორგი კალანდია

1980 წლის 5 ივლისს თურქეთში ნაციონალისტების ტყვიას ემსხვერპლა თურქეთის ქართველების ილია ჭავჭავაძედ ნოდებული აჰმედ ოზქან-მელაშვილი.

თურქეთის ქალაქ ბალიქესირში სწავლისას აჰმედ მელაშვილმა ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდები შემოიკრიბა იმის გასარკვევად, ვინ იყვნენ ისინი, ვისაც თურქები გურჯებად მოიხსენიებდნენ, თვითონ კი საკუთარ თავს ჩვენებურებს ეძახდნენ; აზიისთვის უჩვეულო სიმღერებს მღეროდნენ, მჭადასა და მხალ-ლობიოს მიირთმევდნენ, იმ ენაზე საუბრობდნენ, რომელიც მხოლოდ მათი მოდემის ხალხმა იცოდა.

დროის უკუღმართობის გამო თავის ნაჭუჭში ჩაკეტილმა გურჯებმა საქართველოს არსებობის შესახებ არც იცოდნენ. წინაპრებისგან მხოლოდ ის ჰქონდათ გაგონილი, რომ მათი „დიდებულები სულის გადასარჩენად რუსთა მეფეს კავკასიიდან გამოექცნენ“.

მათთვის მხოლოდ დიდი, წითელი იმპერია არსებობდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა. საქართველოს, მათ დედასამშობლოს, არავინ ახსენებდა...

აჰმედ მელაშვილის მეგობარმა, ილია ხიმშიაშვილმა მეჩეთის წინ დაიფიცა: „საქართველო - ასეთი ქვეყანა რომ იყო, ნამდვილად არ ვიცოდი. გვეგონა, გურჯები მხოლოდ ჩვენ ვიყავით და ისიც თურქეთში ვცხოვრობდით... საქართველო - ასეთი სიტყვაც არ ვიცოდით. ამბობდნენ მხოლოდ, რუსეთი, რუსეთითო. ვკითხულობდით: „ჩვენი სამშობლო თუ რუსეთია, ჩვენ საიდან მოვედით? ვინ ვართ? სად არის ჩვენი წყარო? რუსებს არაფერი გვიგავს, მათ ენაზე არ ვლაპარაკობთ, მათი ტრადიციები ჩვენთვის უცხოაო, მაგრამ პასუხი არ ჩანდა“.

გურჯების „ახალი ანბანი“

როცა სკოლაში მისულმა აჰმედმა თურქული ანბანის შესწავლა დაიწყო, გული დასწყდა, რომ მათ, გურჯებს, არ ჰქონდათ საკუთარი ანბანი და „შეცდომის“

გამოსწორება გადაწყვიტა. მეგობრებთან ერთად, ერთ ღამეში, ლათინური ანბანის საფუძველზე „ჩვენებური“, ანუ „ქართული“ ანბანი შექმნა. სკოლაში სწავლისას ამ „ქართული“ ანბანით სწერდნენ ერთმანეთს წერილებს. უხაროდათ, რომ გურჯების ისტორიაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

21 წლის აჰმედი 1944 წელს სამხედრო შეკრებაზე გაგზავნეს. მის საჯარისო დანაყოფში საბჭოთა რეჟიმს გამოქცეული, ევროპელი ემიგრანტი ქართველი მუშაობდა. აჰმედი გააკვირვა მისმა დიქციამ.

ის, რაც ესმოდა, ქართული იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორც თურქეთში გაეგონა, არამედ უფრო „ცქვიტი“, „მარდი“, წინადადებები ლამაზი იყო, სიტყვები ერთმანეთს მწყობრად, რაკრაკით მიჰყვებოდა. თვალეები გაუფართოვდა, ტანზე დაბურძგლა და სიხარულით ლამის ჰაერში აიწია, როცა გურჯისგან გაიგო, რომ ქართველთა ქვეყანა არსებობდა!

ყურს არ დაუჯერა, როცა მოისმინა, რომ ქართველებს საკუთარი, თანაც უძველესი ანბანი ჰქონდათ; ყაზარმაში კი არ მიდიოდა, მიფრინავდა; გულზე ქალაღდის ნაგლეჯი მიეკრა, რომელზეც ემიგრანტს 33 ქართული ასო დაენერა. მან აჰმედს ის ადგილიც მიასწავლა, სადაც დედაენაზე წიგნებს იპოვიდა - ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის საფანე...

მამიდა -ასიე-ბიბი

რამდენიმე წლის წინ, აჰმედ მელაშვილისადმი მიძღვნილ წიგნზე მუშაობისას, მის არქივში ნოდარ დუმბაძის ხელმოწერილი ბარათი ვნახე. დაახლოებით იმავე შინაარსის ბარათები იდო არჩილ სულაკაურის, იოსებ ნონეშვილის, კარლო კალაძისა და სხვათა არქივებში. ამის თაობაზე ბატონმა იბერი მელაშვილმა მითხრა, - 1968 წელს ქართველ მწერალთა ჯგუფი ესტუმრა თურქეთს და მამაჩემმა მამინ გაიცნო ისინი. სწორედ მათ დაუტოვეს ეს სამახსოვრო

ბარათებო. მერე ხელში ჩამივარდა ფრიდონ ხალვაშის წიგნი „ომრი“, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ქართველი მწერლების თურქეთში ვიზიტი და გახარებულმა მსცოვან მწერალს შეხვედრა ვთხოვე...

„ეს იყო 1968 წელს. სტამბოლის აეროპორტში მაშინდელი საბჭოთა საკონსულოს თანამშრომლები დაგვხვდნენ... ვხედავ: ერთი ხმელ-ხმელი ბიჭი ხეზე მიყუდებული გვათვალისწინებს და ყურს გვიგდებს. ვატყობ, რომ ქართველ მწერლებთან მოსვლას ვერ ბედავს. გავინიე მისკენ, თავადაც კოჭლობით რამდენიმე ნაბიჯი გადმოდგა.

- შენ ფრიდონ ხალვაში ხარ? - თურქულ-ქართული კილო მეცნო. კი-მეთქი. ხელი ჩამომართვა და, ისე, მოხვევასავით მომედო, - მე აჰმედ მელაშვილი ვარ... შენთან ლაპარაკი მინდა. ახლა არა... წაყევ ამათ, და მე ვიცი ჰოტელი, ჰაცხანა იყოთ, და მოგნახავ მემრე...

მეორე დღეს, საღამომირად, სასტუმროში მელაშვილი „დამეხატა“. მითხრა: - ახლა შენთან არ შემოვალ, არც დიდხანს გაგჩერდები, დამინახავენ და საქმეები გონჯა წამივა. ამაღამ ბურსაში წავალ, მე იქ ვცხოვრობ. როის ჩამოხვალთ ბურსაში, ვიცი, სად გაჩერდებით, ეგეც ვიცი. მე და იქაური ჩვენებურები დაგვხვდებითო.

მოვძებნე მამიდაჩემ ასიეს მისამართი, მამაჩემისგან ოდესღაც გადმონერილი... 1935 წლის შემდეგ მისგან წერილი არ მიგვიღია. ახლა ოთხმოცდაათზე მეტისაა. შეიძლება ცოცხალია. მოდი, „ხებერს“ (ამბავს) მივცემ, იქნებ შევხვდე-მეთქი. ავიღე ღია ბარათი და თურქულად რამდენიმე სიტყვით ავუხსენი, შენი ძმისშვილი ვარ, ამა და ამ დღეს ბურსას სასტუმროში ვიქნებით-მეთქი.

სასტუმროსთან იქაური ქართველები დაგვხვდნენ, დარჩეული ბიჭები. მთელი ის გრო ხალხისა, ვინც ასეთი მონატრებული ინტერესით, ახლობლური გულითადობით გვეხვეოდა, გვეალერსებოდა, აჭარიდან ოდესღაც მუჰაჯირად გახიზნულები იყვნენ, მაგრამ იქ „გურჯისტანიდან“ მოსულები ვართო, ამბობდნენ. ქართული რომ იცოდნენ და საქართველო რომ უყვარდათ, იმიტომ მოვიდნენ იქა, რომ ჩვენ, საქართველოს ქართველებს შეგვხვედროდნენ...

ამდენი ჩვენებურის შეკრების მოთავე აჰმედი იყო. მთელი იქ მყოფი ჩვენებურობა მას ემორჩილებოდა... თვალებიდან არ ამომდის, როგორ შემოგვესივნენ ვაჟკაცი ბიჭები - „შენი ქირიმე“, „შენ გენაცვალე“, - გვეხუტებიან, გვეხვევიან, - ნამდვილი ქართული გავიგონეთო, ნამდვილი ჩვენებურიო, კაი ენაო. აგერ, ახლო, ქართული სოფელია, იქ სულ ჩვენებურები ვართო.

მანქანა დაიძრა თუ არა, შუქნიშანი წითლად აინთო, ამიტომ მოძრაობა წუთით შედგა. წინ ვიციკირები. ქუჩაზე ფეხით მოსიარულენი გადადიან. და ჩემდა გასაოცრად, იმდენ მოსიარულეებში ერთი მაღალი, მხრებში მოხრილი, ლეჩაქმობეული ხნიერი ქალი და-

ვინახე. ჩემი თვალი იმ მოხუც ქალს დაედევნა. რალაც ნაცნობი მიხრა-მოხრით მიდიოდა. მეცნო, რალაცა მე-ახლოვა - მამაჩემმა იცოდა ასე კორნიალით სიარული, როცა მხარზე სიმინდიანკოდშემოდგმული წისკვილისკენ წავიდოდა... ვაიმე, ეს ქალი ჩემი მამიდა, ასიე-ბიბი ხომ არაა?

შუაგულ ტროტუარზე გავიჯგიმე, მომავალ მოხუცს დავემიზნე. გულში და მთელ სხეულში, ჟრუანტელთან ერთად, ბობოქრობს ტალღებად ქცეული სიტყვები: მამიდაჩემი, ასიე-ბიბი, ცოცხალი ბიბი!

როცა პირდაპირ მომეყუდა, შედგა. შემხედა, უცნაური, დაღლილ-დაკარგული თვალეები მომავლო. გამოხედვამიც რალაცა მამაჩემისა ამოვიკითხე. გულმკერდით მომედო და ჯოხს ხელი უშვა: „შენ ხარ, ჭოვ?“ - მკითხა. ჰო-მეთქი, - ჩავუფურჩულე. ხელები შემომიჭირა და ატირდა...

მაშინ დავინახე პირველად ნოდარ დუმბაძის თვალეებში ცრემლი“.

დიდი გზის დასასრული

1979-1980 წლებში თურქეთში ანარქია და ტერორი მძვინვარებდა. ტერორისტთა ხელით დაიღუპა 5 ათასი და დაიჭრა 14 ათასზე მეტი ადამიანი, უმეტესად, პროგრესულ შეხედულებისანი. მათ შორის იყო აჰმედ მელაშვილიც...

პროფესორ ლია ჩლაიძესთან ერთად მაგიდას ვუზივარ და მის მონათხრობს ვისმენ: „1979 წელი იდგა. იზმირის გამოფენაზე ტურისტად ვიყავი. იქ უკანასკნელად ვნახე აჰმედი. ძალიან ცუდად გამოიყურებოდა. ვილაცხებს გავაცანი, დაველაპარაკეთ, ყველა შემოეხვია, ყველა მიეფერა... მერე ცოტა ხანს თვალისგან დამეკარგა. ეზოში გამოვედი. ვხედავ: ძელსკამზე ზის, რალაც მობუზული იყო, დაპატარავებული. გვერდზე მივუჯექი - აჰმედ, ცუდად ხომ არ ხარ-მეთქი. ცრემლით სავსე თვალეებით შემომხედა, - დია, ასე მგონია, ამას ყველაფერს უკანასკნელად ვხედავო. ეს იყო 1979 წლის სექტემბერში. მას შემდეგ სულ თვალწინ მიდგას: მუქი მწვანე, საზაფხულო კოსტიუმი აცვია, ყველას გარიდებული ზის და თვალცრემლიანი ეთხოვება იმას, რაც აგრე უყვარდა... ხშირად მითქვამს მისთვის: - შენ თურქეთის ქართველების იღია ჭავჭავაძე ხარ-მეთქი. ვაი, რომ სიკვდილიც ილიასნაირი ჰქონდა. მისი ავტორიტეტი უდიდესი იყო. როგორც ილიას სიკვდილმა გააერთიანა სრულიად საქართველო, აჰმედის კუბოსთანაც მთელი მცირე აზიის კავკასიელები გაერთიანდნენ. იქ ერთმა აფხაზმა თუ ადიღე მწერალმა თქვა: „არ იტიროთ აჰმედ მელაშვილი, რადგან ასეთი ადამიანის წასვლის შემდეგ კი არ გლოვობენ, არამედ ცდილობენ, მასავით იცხოვრონ“...

გიორგი კალანდია

თბილისის ხელოვნების სასახლის დირექტორი

დაბრუნებაში სახეობა

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა იზიარა, საქართველო ახალ ცხოვრებას იწყებდა. თუმცა ხანმოკლე ალონდამ მისი დამოუკიდებლობა.

1921 წელს რუსეთის მიერ ანექსიის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს მთავრობასთან ერთად დატოვა სამშობლო და განძს მეთვალყურედ გაჰყვა ემიგრაციაში. გახიზნულმა მთავრობამ თან წაიღო საქართველოს განძი, რომელშიც შედიოდა საქართველოს მუზეუმების დაცული ძვირფასეულობა: ოქრო-ვერცხლის ხატიები და თვალ-მარბალით მოთქვილი სხვა საგანძურები, ძვირფასი ხელნაწერები, ზუზდიდის დადიანისაული სასახლის განძეულობა, გელათის, მარტვილისა და სხვა-დასხვა მონასტრებიდან წამოღებული ნივთები. მიუხედავად იმისა, რომ განძის მისაპურად საქართველოს მთავრობა ითვლებოდა, ფაქტობრივად განძს ექვთიმე თაყაიშვილი მიუტოვებდა. განძი სულ 39 ყუთი იყო, ექვთიმეს იგი მარსელის განძში ჰქონდა შენახული. განუზომელია ექვთიმე თაყაიშვილის ღვაწლი ქარველი ერის საგანძურის გადასარჩენის საქმეში. მიუხედავად დიდი გაჭირვებისა, ექვთიმე თაყაიშვილმა საქართველოს დაუბრუნა ეროვნული საუნჯე.



ჟურნალი „რაჭველები“ პერიოდულად გიამგობთ ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაბრუნებული საგანძურის შესახებ.



გელათის ხატი

გელათის ღვთისმშობლის ხატი XVI საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება. ხატი დამზადებულია ოქროსაგან და შემკულია ძვირფასი ქვებით. ხატის ცენტრში გამოსახულია ღვთისმშობელი ყრმით, მის ზემოთ ორი ანგელოზის ფიგურაა, ქვემოთ კი ვედრების პოზაში მეფეთ მეფე ბაგრატ III და მისი მეუღლე ელენე დედოფალი არიან წარმოდგენილი. ხატი

ჩასმულია XVIII საუკუნეში შესრულებულ კუბოში, რაზედაც საღვთო სცენებია გამოცემული. „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციის გვერდით გამოსახულნი არიან ალექსანდრე V და მისი მეუღლე მარიაში, ბეჟან დადიანის ასული. გელათის ღვთისმშობლის ხატი გვიანი შუასაუკუნეების ოქრომჭედლობის ტიპური ნიმუშია.



გაღია

ბედიის სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს ოჩამჩირის

რაიონში, სოფელ აგუბედიში. ისტორიული წყაროების მიხედვით აგებულია ბაგრატ III მეფობის (980-1014 წწ.) პერიოდში, 999 წელს. ტაძარში არიან დაკრძალულნი ბაგრატ III და მისი დედა, დედოფალი გურანდუხტი. მათ ბედიის მონასტრისათვის საგანგებოდ დაუმზადებიათ და შეუწირავთ ოქროს ბარძიმი — საეკლესიო ჭურჭელი, მასიური მრგვალი ფორმის ბაჯალლო ოქროს თასი, ქართული ოქრომჭედლობის უნიკალური ძეგლი. მისი სიმაღლე 12,5 სმ-ია, დიამეტრი — 14 სმ. სამწუხაროდ, ბარძიმის სადგარი დაკარგულია. მისი გარე ზედაპირი სვეტებზე დაყრდნობილი თაღებით დაყოფილია 12 არედ, თითოეულ მათგანში თითო ფიგურაა გამოსახული — ერთ მხარეს ტახტზე მჯდომი ქრისტე, მეორე მხარეს ღვთისმშობელი ყრმით, აქეთ-იქეთ კი ფეხზე მდგომი წმინდანები.


საკანძერი



ქართული მონეტაჰი

საქართველო სამონეტო კულტურის ერთ-ერთი უძველესი კერაა. ძვ.წ. VI ს-ში კოლხეთში მოიჭრა ვერცხლის მონეტები, რომელიც „კოლხური თეთრის“ სახელითაა ცნობილი; მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ ქვეყნის ისტორიისათვის. ამ მონეტების რამდენიმე ტიპი და ნომინალია ცნობილი. ჩვენამდე მოღწეულ ერთეულთა შორის ყველაზე დიდია ე.წ. ტეტრადრაქმა, მასზე გამოსახულია: შუბლზე — ლომის თავი, ზურგზე — ფრთოსანი რაში. ეს მონეტა ძვ.წ. VI ს-აა და მსოფლიოში სულ სამია ცნობილი. ტეტრადრაქმას მოსდევს დიდრაქმა, რომელიც რამდენიმე ტიპად იყოფა. არსებობს „კოლხური თეთრის“ სხვა ნომინალებიც, ისინი ძვ.წ. განეკუთვნებიან. 1123 წელს დავით აღმაშენებელმა, ანისის ალექსის შემდეგ, „სომეხთა მეფის“ ტიტული მიიღო, რასაც გვაუწყებს მის მიერ მოჭრილი სპილენძის მონეტის ზედწერილი: „ქრისტე! დავით, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, და სომეხთა“; ეს უნიკალური და იშვიათი მონეტა ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. თამარის მეფობაში საქართველო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებას მიაღწია, გაიზარდა კავშირები შორეულ აღმოსავლეთის ქვეყნებთან. თამარის სახელი

ჯერ კიდევ მისი მამის გიორგი III მიერ მოჭრილ მონეტაზე გვხვდება, შემდეგ კი 1184 წელს ფული უკვე თამარის სახელით იჭრება. შუბლზე მოცემულია თამარის სახელი, ზურგზე კი არაბული ზედწერილია: „დედოფალი დიდებული მშვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი, განადიდოს ღმერთმან ძლევანი მისნი“. საქართველოში მოჭრილია აგრეთვე ლაშა-გიორგის, რუსუდანის, დავით ნარინის და სხვათა მონეტები.



ვანის ოთხთავი

ვანის ოთხთავი გადაწერილია XII საუკუნის II ნახევარში, კალიგრაფ იოანეს მიერ, რომელიც მოღვაწეობდა კონსტანტინეპოლის რომანას მონასტერში. სახარება გადაწერილია თამარ მეფის შეკვეთით, მორთულობა და დასურათება ბიზანტიელ ოსტატს მიქაელ კორესელს ეკუთვნის. სახარებას ახლავს წარწერები: „წმიდანო მახარებელნო, განმადლიერეთ ცოდვილი იოანე, რომელმან ფრიადსა უძღურებასა შინა მყოფმან ელვყავ წერით, მოსაქმებად წმიდისა ამის სახარებისა“; „ქ. ესე სახარება მე იოანე უღირსმა საპყარმან და მლოცველმან

წმიდის დედუფლის თამარისაგან ვიოფლე წერით ქალაქსა შინა კონსტანტინეპოლის. ლოცვა ყავთ ყოველთა“. მორთულობის სიმდიდრით და შესრულების ხარისხით ოთხთავი ერთ-ერთი უპირველესთაგანია ქართულ ხელნაწერთა შორის.



ნაქარგობა

დიდი ბრიტანეთის ქალაქ ჰალში დაცულია ქართული ნაქარგობის ერთი საყურადღებო ნიმუში. მასზედ გამოსახულნი არიან ერეკლე II შვილიშვილი სოფიო, მეუღლე ლუარსაბ თარხნიშვილთან და შვილებთან იოანესთან და ევსტატეთან ერთად. მათ ზემოთ მაცხოვრის გამოსახულებაა, ქვემოთ კი ქორბუდა ირმის. ფიგურებს შემოუყვება წარწერა: „ქ. ეჰა მონამეთა შორის ბრწყინვალედ მნათობო, რომელი სასწაულით და მხნეობით იდიდები მარადის მოწყალეო ჩვენო გულსმოდგინებითა შეგიმკევ კნინი ესე თითთა მიერ შრომით მე ფრ სასოებელმან შენმან სრულიად საქართველოს მეფის ირაკლის პირმშოსა ძისა გიორგის ასულმან და თანამეცხედრემან თარხნიშვილის ლუარსაბისმან სოფიო...“. წარწერა შესრულებულია 1794 წლის 22 აგვისტოს.

დავით კიკოლაშვილი



სოფლისა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებალმა მალსაზ ლომთაქია სიდიკრის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ სიმონის და სოფელ კვაცხუთის დამაკავშირებელი ხიდის სარემონტო სამუშაოები დაათვალიერა.



2015 წლის ოქტომბრიდან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გუგაულს ახალი საგავეშვო ხაზი ექნება. სარემონტო სამუშაოები მუნიციპალიტეტის გამგებალმა მალსაზ ლომთაქია დაათვალიერა.



რეგიონის ზმა

ამგროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მაღსაზ ლომთაქამ და ამგროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა და ჯედაგხედველობის სამსახურის უფროსმა ალაკო ქუციციქამ ამგროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯემო სხარტალში წყლის სარაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. ჯემო სხარტალს წყალმომარაგების სისტემა ჯერ არასდროს არ ქონია, სოფელი სარგებლობდა ერთი წყაროთი, რომელიც დაშრა, სოფელში დაახლოებით ოცდახუთი ოჯახი ცხოვრობს და უწყლობის გამო სოფლის დაცლის საშიშროება დადგა. საქმეების გოლოს ჯემო სხარტლის მოსახლეობა სრულად დაკმაყოფილებულია წყლით.



ამგროლაურის მუნიციპალიტეტის ტანისადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჯემო დვარდიაში წყლის სარაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სათაო წყლის ნაგებობას უტარდება სარემონტო სამუშაოები, ხოლო სოფელში მისასვლელი ორკილომეტრ ნახევრანი ახალი წყლის ტრანსის გაყვანა უკვე დაწყებულია. პროექტი ოქტომბრის დასაწყისში დასრულდება. სარემონტო სამუშაოები ამგროლაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მაღსაზ ლომთაქამ დაათვალიერა.



„იბერია 1“ ტურისტებს კეთილ- მასპინძლობით აქაესოვრებს თავს



მურმან კეკელიძე

დისშვილებს და ძმისშვილებს ღვიძლი შვილებივით უდგას გვერდით. ობლობაში გაიზარდა, მამა რეპრესიების მსხვერპლია, ამბობს რაც მე სიტბო და მზრუნველობა დამაკლდა ჩემს ახლობლებს მინდა გადავცეო.

ბიძა - დისშვილი ერთ საქმეს ემსახურებიან. პროფესიით მშენებელი-ინჟინერი ბატონი მურმანი ამჟამად „იასტების“ მშენებლობით არის დაკავებული, ემსახურება ტურისტებს და ტკბილი, ქართული სტუმარმასპინძლობით ამასსოვრებს თავს.

ბათუმში, ზღვის ნაპირს თვალს გადაავლებთ თუ არა, უმაღვე ყურადღებას ერთ ლამაზად ნაგებ იახტას მიაპყრობთ. „იბერია 1“ თავმომწონედ დგას ლიცლიცა ზღვის ზედაპირზე და ტურისტებს ელოდება. იქვე მეპატრონე მურმან კეკელიძე გამომეგება, ხელში ჟურნალები „რაჭველები“ და „სამეგრელო“ მეკავა, მე თქვენი მკითხველი ვარო, მითხრა. ცხადია მესიამოვნა. მურმანი პორტში ბიძასთან, ნოდარ ავალიანთან ერთად იმყოფებოდა, ბატონი ნოდარი 8 ათეულზე მეტ წელს ითვლის. კეთილი, ღვთისნიერი ადამიანია. საკუთარ



ნოდარ ავალიანი

როგორ იქმნებოდა კომპანია „დიო“



კომპანია „დიო“ უკვე ოცი წელია, ქართულ ბაზარზეა. ამ სფეროში ყველაზე სახელმწიფოებრივად და წარმატებულად კომპანიამ 1994 წლიდან დღემდე განვითარების ბრძოლი და სირთულეებით სავსე გზა განვლო.

ამ წარმატებულ კომპანიას ქალბატონი ხელმძღვანელოვს. „დიოს“ თანადამფუძნებელი და დირექტორი ირმა დაუშვილი.

- ქალბატონო ირმა, როგორი იყო განვლილი ოცი წელი და როგორ შექაღლით, ბაზარზე დაგვიდგინებულხართ, როგორც მთავარი მოთამაშე?

- ჩვენი წარმატება, უპირველესად, ჩვენი წარმატება, უპირველესად, და ხარისხზე ორიენტირებაა განაპირობა, განსაკუთრებით - მომსახურების ხარისხზე. თამაშად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი მომსახურების ხარისხი ყველასგან განსხვავებულია. გვყავს ლოიალური პარტნიორები, რომლებიც ჩვენთან თანამშრომლობენ. მეორე, ეს არის პროფესიონალების გუნდი. „დიო“ ჩვენი ოჯახური ბიზნესია, ჩემი და-ძმა კომპანიის თანადამფუძნებლები არიან.

- პირველ ეტაპზე ქალიან ბავრი ღამისთევა მოგიწიათ, ალბათ?

- რა თქმა უნდა. ბიზნესსაქმიანობა, ფაქტობრივად, 1994 წელს დავიწყე, „დიო“ კი 1996 წელს დაფუძნდა. რა საშინელი მდგომარეობა იყო მაშინ, ყველას ახსოვს. მოუძველი, კორუპციული საგადასახადო სისტემა, პროდუქციის ტრანსპორტირება მხოლოდ თვით-მფრინავით შეიძლებოდა, არ იყო პირდაპირი რეისები, მხოლოდ ჩართული სრულდებოდა... ააროპორტი ვათენებდით ღამის. იმ პერიოდში მსგავსი სხვა კომპანია არც იყო.

ორი წელი გადარჩენისთვის ვიბრძოდით. თუმცა იმ წლებში კარგად გამოგვეჩვენა.

თავიდან სკეპტიკურად გვიყურებდნენ, ხუმრობდნენ კიდევ, - ვის რად უნდა ქალუბერიო. მე კი ვპასუხობდი, - მოვა ზაფხული და ნახავთ-მეთქი... უოდა, მოვიდა და მოვიდა... თუმცა გვერჯარ გვემონა სერიოზული ჩაპარდების პერიოდებიც. ახლაც საკმაოდ რთული პერიოდია, ილვიკა და არ იცი, სად იქნება ლარის კურსი (ეღიბება).

- სახელი „დიო“ რას ნიშნავს?

- დაუშვილი ირმას ორბანიზაცია ან დაუშვილი ირმა ოჯახით (მეგობრები ასე აბგობენ).

- საინტერესოა... და რა იყო ბიზნესამდე?

- პროფესიით მათემატიკოსი ვარ და მცირე ხანს ჯანდაცვის სამინისტროს გამომთვლით ცენტრში ვმუშაობდი. „ეფლის“ უზარმაზარი კომპიუტერები გვედგა. სხვათა შორის, მათემატიკოსობა ქალიან დამეხმარა ბიზნესში, რადგან ბიზნესი მაინც რიცხვები, სტატისტიკა და ანალიტიკაა. სულ მივლოდა, საკუთარი შემოსავალი მქონოდა. ყოველთვის მზად ვიყავი გამოგვევებინებინებინ და ვგაჩნებოდი, რომ მქონდა საამისო რესურსი. თუმცა ბიზნესზე არასდროს მიფიქრია, ჩვენ მაინც საბჭოთა მენტალიტატიდან მოვდივართ და მახსოვს, მაშინ ბიზნესმენებს „სამოსნებს“ ეძახდნენ და უარყოფით კონტექსტში მოიხსენიებდნენ.

- ბიზნესმა გაგაძლიერათ თუ მანამდეც ძლიერი ხასიათი გქონდათ?

- ალბათ, როცა წარმატებები გაქვს, ეს თვითრწმენას გებატავს. ფაქტობრივად, ოცნებისთვის, სარკები ჩახედვისთვის დრო აღარ გრჩება. ყველაზე რთული ისაა, რომ ქალ ბიზნესმენს მუდმივად ოჯახსა და საქმის შორის გიხდება განაწილება. ამ მხრივ, ალბათ, ქალიან გამომართლა, რადგან ოჯახი ცოტა გვიან შევექმენი და ცოლად წარმატებულ, ჩამოყალიბებულ ადამიანს გავყავი. ცხრა და შვიდი წლის შვილები მყავს. შინ დავა მხეხარება, მაგრამ მეც ქალიან მიყვარს სამზარეულოში ტრიალი.

ქეთი დიდუბულიძე

წიწო ხეხვიამჭვირის გამომცემლობა



წიგნების გაყიდვა

**მისამართი:
თბილისი,
ლესელიძის 27
პე-2 სართ.
599746810
790746810**

**ქურნალ-
გაზეთების
გაყიდვა**

**ანყოფა,
ღიზაინი,
დაკაბადონება**